


საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 51 დეკემბერი 8 1896 წ. № 51

შინაარსი: ცეილონზე მოგზაურობა ე—კოსი.—ჩვენი ცხოვრება ივანელისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის" კორესპონდენციები.—შიომღვიმის მონასტერი ა. ხახანაშვილისა.—უდროვოდ დაბერებული, ლექსი დუტუ მეგრელისა.—† ნეკროლოგი ყ. ჩხეიძისა.—ვაჟა-ფშაველას პოეზია, (შემდეგი) ი. ნაკაშიძისა.—უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში, (შემდეგი) საზღვარგარეთელისა.—მეჯარები, ლექსი კასკა ერისთვისა.—მიწათ მოქმედების სამინისტროს ორგანოები.—უცხოეთის ამბები.—სიკვდილით დასჯილი, გიუ-დე-მოპასანისა, მამა პიროსელისა.—წერილი რედაქციის მიმართ და განცხადებანი.

მომავალი 1897 წ. კვალის ხელის მომწერლებს დაურიგდებათ პრემიათ ისტორიული ალბომი (სურათები ჩვენი გამოჩენილი მეფეებისა, ისტორიულ პირთა, ძველი მონასტრებისა და ციხეების,-აღწერით.)



სინგალიელი ახალგაზრდა ქალი.

## ცეილონზე მოგზაურობა.

(ა. ვ. ელისეევის მოგზაურობიდან.)

დიდი ხანი მინდოდა დამეთვალიერებინა კუნძული ცეილონი, რომელსაც ინდოეთის ოკეანის მარგალიტს ეძახიან და ბოლოს, როგორც იქნა, ამისრულდა ჩემი სურვილი. ჩვენი გემი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ბრუნდებოდა და კოლომბოში შეცდა დაჭირდა. ჩვენ ვისარგებლეთ ამ მოულოდნელ შემთხვევით და მე რამდენიმე ჩემი ამხანაგით ნაპირზე გავედით.

მთელი ორი საათი ვსეირნობდით კოლომბოს ქუჩებზე და ალტაცებაში მოვყავდით იქაურ ბუნების შვენიერებას. თვალის მოშორება გვეზარებოდა, ლამაზ წყაროებს და ტბებს რომ ვხედავდით, რომელთაც აქეთ-იქით ბზის ხის პატარა ტყეები ჩაუყვებოდათ. ძალიან

მოგვეწონა ბუდდას ეკლესიაც, რომლის კედლზე ბუდდა იყო გამოქანდაკებული და მეორეთ მოსვლის სურათი დახატული. ჩვენმა წინამძღოლმა, რუსულათ კარგათ მოლაპარაკე სინგალელმა გვთხოვა, იკადრეთ და ჩემ ღარიბ სახლში მეწვიეთო. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეწვიეთ და საათზე მეტი სიამოვნებით გავატარეთ მათ საზოგადოებაში, თუმცა იქავე მოსიარულე ორი ინგლისელი პოლიციელი ძალიან შეურაცყოფილი იყვნენ ჩვენი ასეთი თავისდამდაბლებით.

საღამოს ინდუსების თეატრში წავედით. თეატრი ევროპიულათ მოწყობილი იყო და პარსები (ცეცხლთაყვანის მცემლები) ისე კარგათ და მწყობრათ თამაშობდენ, რომ ჩვენ ძლივს გვჯეროდა, ევროპიულ მოთამაშეებს ხომ არ ვხედავთ-თქო. განსაკუთრებით კომიკურ როლებს ისე კარგათ ასრულებდენ, რომ სიცილით ვიხოცებოდით, თუმცა ერთი სიტყვაც არ გვესმოდა. ქალები არ თამაშობდენ, მათ როლებს ქალურათ ჩაცმული პატარა ვაჟები ასრულებდენ.

მეორე დღეს მთელი კუნძულის დათვალიერება განვიზრახეთ და რკინის გზით გავემგზავრეთ კოლომბოდან კანდიში. ეს გზა მთელ ხმელეთზე განთქმულია თავის შესანიშნავი სილამაზით: დაიძრა თუ არა მატარებელი—ჩვენ თვალ-წინ სულ ერთი-მეორეზე უშვენიერესი სურათები იშლებოდა; ბზების, ბანანის და ბამბუკის ტყეებს შორის გამოსჭვრეტდენ პატარა, მწვანე ბალახით და ფერადი ყვავილებით შემკული მინდვრები, რომელთაც თავს დაჰხაროდენ და დანავარდობდენ სხვა-და-სხვა ფრინველები; ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით ჭრელმა თუთიყუშებმა მიიქცია. აქა-იქ სინგალელების სახლები მოჩანდა, მათი სახურავები ლამაზათ გამოიყურებოდენ მაღალ და შნოიან ხეებს შორის. საითაც გაიხედავდი, ყოველგან მოძრაობას და სიცოცხლეს შენიშნავდი, ყველა ხარობდა ამ შვენიერ ადგილებში ცხოველი მზის შუქებით და არე-მარეს სილამაზით.

ოთხი საათის მოგზაურობის შემდეგ ჩვენ მივახწიეთ ცეილონის უმთავრეს ქალაქს, კანდის. კანდი შესანიშნავია თავისი ლამაზი მდებარეობით და ბუდდას ეკლესიით, სადაც შენახული არის ბუდას წმიდა კბილი. ეს კბილი ჩაკეტილია რვა ოქროს ყუთში, რომლებიც იღება 27 ოქროს გასაღებით; თითო გასაღები თითო ქურუმს აქვს ჩაბარებული. ჩვენ, რასაკვირველია, არ გვეღირსა იმ კბილის ნახვა. ინგლისელები ჩუმათ ლაპარაკობდენ, უბრალო სპილოს ძვალიაო.

კანდი რომ დავათვალიერეთ შემდეგ ჩვენი ამხანაგები კოლომბოში დაბრუნდენ, მე და ჩემი ერთი მეგობარი კი პერადენიაში წავედით. პერადენია კანდიდან ერთი საათის მანძილზეა და ტყუილათ არ ითვლება საკვირველებათ; ბრმას თვალს უწყალოდ ახელს და ხილულს დააბრმავებს მისი შვენიერება; მთელი დღეობით რომ იარო პერადენიის ბაღში, მაინც ყოველ ნაბიჯზე ახალ და გამაცვიფრებელ საგანს შეხვდები; ყოველგვარი ყვავილი, ყოველგვარი ხე, ყოველგვარი ბალახი იქ არის და ადამიანს თვალს ჭრის თავის სილამაზით და თავბრუს ასხამს თავის სუნელებით. ჩუხჩუხა ლამაზი წყარო კიდევ უფრო უმატებს შნოს და სილამაზეს იქაურობას. მის ნაპირებზე იზრდება ინდოელი ლეღვი, რომელსაც ჰაერში ურიცხვი ძირი აქვს; ამ ძირებიდან ახალი ხეები ამოდის და ამნაირათ ამ წყაროს ნაპირებზე მთელი ტყე არის ჰაერში გაშენებული.

რამდენიმე საათი გავატარეთ ამ შვენიერ ბაღში და მზე თითქმის ჩასული იყო, როდესაც დავბრუნდით კოლომბოში. იქ ჩვენ გველოდნენ ამხანაგები; ნავახშმევს, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულნი ახლო მახლო ტყეებში სანადიროთ წავედით, მაგრამ თუთიყუშებსა და სხვა წვრილ ფრინველებს გარდა ვერაფერი დავხოცეთ. სულ დალამებული იყო, როცა ჩვენ აღტაცებული და მხიარულები დავბრუნდით ჩვენ გემზე.

ე—კო.

# ჩვენი ცხოვრება.

## წერილი 1

დამეთანხმები, მკითხველო, რომ ჩვენი ცხოვრება არასოდეს არ ყოფილა სავსე არარაობით ისე, როგორათაც არის დღეს.

მერე რა დროს?

—როცა ქართველობამ შეიგნო თავისი ვინაობა, როცა მან გამოზარდა არა ერთი ასეული ყმაწვილი კაცებისა უმაღლეს სასწავლებელში; როცა დროც, გარემოებაც და საჭიროებაც მოითხოვს მოქმედებას, ცოცხალ საქმეს! აი, სწორეთ ამ დროს ჩვენ ცხოვრებას დაადგა არარაობის ფერი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დაუდგა მას ის უბედური დღე, რომელიც ათანასწორებს მას არარაობასთან. მერე ჰფიქრობს რომელიმე ჩვენი მოღვაწეთაგანი ამ უბედურების თავიდან აცილებას? მე ვამტკიცებ, რომ არა. არათუ არავინ არ ცდილობს ამ არარაობის გაქარწყლებას, არამედ ყოველი მათგანი ამწვავებს საქმეს და არავის არ აქვს ნება თქვას, რომ მე არ მიძევს წილი ამ არასაიმედო და უნუგეშო მოქმედებაშიო, თუნდა ყოველი ეგრეთ წოდებული მოღვაწე ცდილობს აიცა-

ლოს თავიდან დანაშაული და მოახვიოს იგი თავზე თავის მოძმეს, რომელიც მას უფრო სუსტათ მიაჩნია. დიახ, რომელიც სუსტათ მიაჩნია! გინახავს კი, მკითხველო, შენ ისეთი თანამედროვე მოღვაწე ჩვენში, რომელსაც თავისი თავი ყველაზე მაღლა არ მოჰქონდეს?— არა ვგონებ. და აი, ჩვენი ფიქრით, აქ არის სათავე ჩვენის არარაობისა. ვისაც თვალყური უდევნებია ქართველთ ცხოვრებისათვის, ის უთუოთ შეამჩნევდა, რომ ჩვენი ცხოვრება ამ საუკუნის 40—50 წლებიდან დაწყებული განიყოფება სამ ხანათ.

პირველ ხანას ეკუთვნიან ის მოღვაწენი, რომელნიც იკვლევდენ ჩვენ წარსულ ცხოვრებას და წარსულის დიდებით წაქეზებულნი გოდებდენ აწმყო არარაობაზე; მეორე ხანას ეკუთვნიან მოღვაწენი, რომელნიც შეუდგენ შეძლებისადაგვარათ შრომას აწმყოს გაუმჯობესობაზე და გადმოიტანეს ჩვენ ნიადაგზე ის გამაფხიზლებელი მოძრაობა, რომლითაც სავსე იყო მთელი ევროპის მოწინავე რაზმები და მათთან ერთათ რუსეთისაც; შემდეგ დადგა ხანა, რომლის მოწამენი ვართ ახლა ჩვენ და რომლის დახასიათებაც კარგაად გამოიხატეის მხოლოთ სამკურნალო ლათინური ტერმინით „mania grandiosa". [1]) ეს სენი ეკუთვნის სულის ავათმყოფობას. დამახასიათებელი ნიშანი ამ ავათმყოფობისა არის ის, რომ ამ სენით შეპყრობილი ადამიანი თავის თავს თვლის მეტისმეტ ძლიერათ, ყოვლის შემძლებელათ, პირველ კაცათ, პირველ პოეტათ (ის წერს ლექსებს), პირველ მემუზიკეთ; ყოველგვარ ხელოვნებაში პირველათ მოაქვს თავი; ის არის ჰომეროსი, შექსპირი. ,,არ იცნობთ კრომველსო?"—დაეკითხენ ერთ ავათმყოფს. ,,რას ბრძანებთ", — მიუგო ავათმყოფმა,—,,განა მე თითონ არა ვარ კრომველი, იულიუს კეისარი და ნაპოლეონი, მე შევადგინე კანონები მთელი ქვეყნისათვის; მიბრძანდით სახლში და იქ ნახავთ თქვენ მაგიდაზე ჩემ თხზულებების მილიონ ტომებს, აკინძულთ ოქროთი და დიამანტებითო". ასე ახასიათებს ამ სენით შეპყრობილთ ცნობილი სულის ავათმყოფობის მცოდნე ექიმი შიულე [2]) ,,რასაც მოისურვებს გული ან მოიგონებს ჭკუა, ყოველივე შესაძლებელია იმათთვის"—დაუმატებს მეცნიერი მეშელე.[3]) — აბა მაჩვენეთ, ბატონებო, ერთი რომელიმე ჩვენი მოწინავე კაცთაგანი ისეთი, რომელიც აწერილი სენით არ იყოს შეპყრობილი! აბა მიჩვენეთ ისეთი მწერალი თანამედროვე ქართველობაში, რომელსაც არ მიაჩნდეს თავი პირველ პუბლიცისტათ, პირველ ფინანსისტათ, პირველ ფილოსოფოსათ, პირველ პედაგოგათ და სხვა-და სხვა! განა ჭეშმარიტი მოვლენა არ არის ის მოვლენა, რომ პირველი უმეცარი ჩემულობს ჩვენში კრიტიკოსობას? მოიგონეთ, ერთი ლიტერატორი, რომელიც ლამობს მოსპოს ქვეყნიერებაზე შექსპირის და დარვინის სახელი, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ პირველობა მას დარჩეს.

მოიგონეთ, მეორე ჩვენი კრიტიკოსი, რომელმაც აღიარა ბეჭდვითი სიტყვით, რომ ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება იმდენათ საგულისხმო მასალა, რომ კრიტიკოსმა თავი გამოიჩინოსო, ესე იგი მე პირველი კრიტიკოსი გახლავართ, მაგრამ სად არის ჩემთვის საკმარისი მასალა ქართულ ლიტერატურაშიო. მოიგონეთ... მაგრამ რადა ბევრი ჩიჩინი გვჭირია, ბატონებო, განა თქვენც მოწამე არა ბრძანდებით? განა თქვენ არ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ათასობით ამ გვარი მოვლენები? აიღეთ, ბატონებო, ყოველი კრება ქართველებისა და გაშინჯეთ რაოდენი სიამაყით სავსეა ყოველი მათგანი ყოველივე კითხვაში და დარწმუნდებით, რომ ჩვენი აზრი შემცდარი არ არის.

მოიგონეთ, ბატონებო, თუ როგორ და რა რიგათ განვითარდა ამ ბოლო დროს ევროპაში სპეციალური სწავლა. სპეციალური არა თუ სხვა-და-სხვა მეცნიერებაში, არამედ ერთშიაც. აიღეთ მაგალითათ ინჟენერები: ზოგი მათგანი განსაკუთრებით ხიდებს აგებს, ზოგს ლიანდაგი გაჰყავს, ზოგი გვირაბებს აკეთებს, ზოგი შენობებსა დგამს და სხვა-და-სხვა. აიღეთ მეურნეობა: ერთი მევენახეა, მეორე მერძევე, მესამე მიწის მუშა, მეოთხე არყის მხდელია და სხვ. აიღეთ სამკურნალო მეცნიერება. ერთი გულის მკურნალია, მეორე ფილტვების, მესამე ჰაჰების (თირკმელების) და სხვ. აიღეთ ბუნების მეტყველება: ერთი მეცნიერი იკვლევს განსაკუთრებით სოკოებს, მეორე მცენარეთა აგებულობას, მესამე წყალ-მცენარეს, მეოთხე ხეებს და სხვ. და ყოველ მათგანს თავი მაჩნია მხოლოთ თავის საგანში სპეციალისტათ და თუ იმის გარეშე დაეკითხეთ სპეციალისტთან მიგასწაელისთ. აი, სწორეთ ამ დროს ჩვენები ენციკლოპედისტობას ჩემულობენ. ვისაც ორიოდე ფუქსავატი მოწინავე სტატია აუშენებია იმისდა მაგალითათ, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს მოწინავე სტატიები, ფინანსისტათ მოაქვს თავი. ვისაც არავითარი გაგება არა აქვს საზოგადო ცხოვრებაზე (მაგალითათ ჩარჩები, ,,პროცენტოვიჩები") ქველმოქმედებას ჩემუ-

---

[1]) ბოდიშს ვიხდი ასეთი ტერმინების ხმარებისათვის, მაგრამ რა გქნათ, რომ ჩვენ ძლიერ გვეხალისება ასეთი ტერმინების ცოდნა-შეგნება და ესეც ხომ ერთი ნიშანთაგანია ჩვენი სულის ავათმყოფობისა!

[2]) Генрихъ Шюле, изд. 1880 г. გვ. 475—76.

[3]) Душевныя болѣзни е. с. გვ. 277.

ლობს. ვისაც ორიოდე სტრიქონი დაუსტამბია რომელიმე ვითომ და გაზეთში, კრიტიკოსათ მოაქვს თავი. ვისაც სოფლის მასწავლებლის დიპლომი მიუღია, უშინსკისა და პესტალოცის ეპოტინება და სხვადა-სხვ. მაგალითებზე ნუღარ გადავალთ, თორემ გაგვიჯავრდებიან, ხომ გაგიგონიათ: „правда глаза рѣжетъ". ჩვენ არ გვინდა ვინმე გავაგულისოთ. ჩვენი მიზანია თვალი ავახილეინოთ მკითხველს და სახელები რა საჭიროა? ჩაუკვირდით, ბატონებო, თავს, ჩაიხედეთ გულში, ერთხელ მაინც იყავით გულწრფელი თქვენ თავთან, დარწმუნდით, რომ თქვენი თავი არ გასცემს თქვენს საიდუმლოს და მაშინ მაინც დამეთანხმებით, რომ მართალს მოგახსენებთ. მე აქედანვე ვგრძნობ, რომ ეს ჩემი სტრიქონები მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. აი, ერთი ამბობს: ,,ჰოო, ვიცი, მიეხედი ვიზედაც ამბობს"; მეორე გაიძახის: ,,დიახ, მე ვიცი, რომ ამის დამწერი პეტრეს მომხრეა და პავლეს აძაგებს"; მესამეც დაჰკრავს: ,,სწორეთ აგეთები არიან, აი, თუნდა ივანე, პეტრე, ნიკოლოზ და სხვ." რასაკვირველია, ყველანი გარდა იმისა, მაგრამ ეს ითქმის მხოლოთ საზოგადოებაში თავის გასამართლებლათ. ეს მე, ბატონებო, ადრევე ვიცი და ამის არ მეშინია. არ მეშინია მისთვის, რომ მე ჭეშმარიტ მოვლენას ვაქვეყნებ და არ მეშინია კიდევ უმთავრესათ მისთვის, რომ მე მაქვს წრფელი სურვილი მივაქციო აწ არა სასურველ მოვლენას თქვენი ყურადღება, რადგან უკეთესს მოველი თქვენგან, რადგან აღნიშნული სენი იმედს იძლევა მოსარჩენათ. —ამ არეულ-დარეულობაში, ამ უგზო-უკვლო თავ-მოყვარეობაში, ,,მე"-ს გამოჩენაში აწმყო ჩვენი ცხოვრება ისე დამცირდა, რომ ადამიანმა აღარ იცის, ვის მიმართოს, როგორც ფინანსისტს, ვისი მსჯელობა მოისმინოს, როგორც კეთილ სვინიდისიერი პუბლიცისტის, რომელ მასწავლებელს მისდიოს, როგორც ნამდვილ ოსტატს, რომელ ექიმს მიმართოს, როგორც მცოდნეს, რომელი იცნოს საზოგადო მოღვაწეთ და რომელს უნდა ერიდოს, როგორც მავნე პირს. ამ არა სასურველმა მდგომარეობამ დაბადა ისეთი შედეგი, რომ დღეს ჩვენ ვეღარ ვცნობილობთ ნამდვილ პოეტს, ნამდვილ მასწავლებელს, ექიმს, ფინანსისტს, პატიოსანს, რომელნიც თითო-ოროლა კიდევ არათებენ აგერ-ეგერ სიბნელით მოცულ კუთხეებს.

ნუ ავცდებით ჩვენ საუბარს და ახლა ვნახოთ, თუ რამდენზე შორს წავსულვართ და რა შედეგი მოსდევს ჩვენგან აღწერილ სულით ავათმყოფობას, ანუ ,,დიდ კაცობის მანიას". საზოგადოთ ამგვარი სულით ავათმყოფნი შემდეგში ხდებიან ჭკუა-თხელ ადამიანებათ, მათი ტვინი ჩლუნგდება; მათ ემართებათ ჭკუის დამბლა და ისინი ხდებიან „იდიოტებათ". მე აქ არ განვმარტავ, თუ რამდენია ჩვენ საზოგადოებაში ამ გვარათ ჭკუათხელი ადამიანი, მხოლოთ მოვიყვან იმავე მეცნიერის, შიულეს, აღწერილობას, თუ რა არის იდიოტიზმი და შემდეგ თვით მკითხველი დაფიქრდეს, არიან თუ არა ჩვენ მოწინავე საზოგადოებაში ამ გვარი პ-რნი. ,,საზოგადოთ [4]) იდიოტები არა გვანან ავათმყოფთ და მართლაც ისინი არ არიან ავათმყოფნი თანახმათ იმათი ჭკუის განვითარებისა და იმ პირობებისა, რომელშიაც ისინი ცხოვრებენ. იმათში არ მოიპოვება ისეთი რამ თვალსაჩინო, შესამჩნევი დანაკლისები, ასე რომ ხშირათ მკვლევარი სახტათ რჩება ხოლმე, როცა ის იკვლევს იდიოტებს თანახმათ მეცნიერების მოთხოვნილებისა. უფრო უტყუარი და საიმედოა იმათ გამოსაკვლევათ ამ შემთხვევაში vox populi (ხალხის აზრი), რომელიც სინტეტიური გზით მიდის და ადგენს თვისს განაჩენს მათ უნაყოფო და უმზგავსო მოქმედებათა მიხედვით, მათ გაუსწორებელ ხასიათზე, მიუხედავათ მრავალის მაგალითისა. რაც უნდა ეცადოთ, რაც უნდა ზომები იხმაროთ, მათი გამოთაყვანებული ტვინი ვერ აცილდება ერთხელვე შემოზომილ ფარგალს. იმათ ცოტა რამ იციან კიდეც და ხშირათ განსაკუთრებული ყურადღების და აღზრდის მეოხებით ბევრი რამეც იციან, მაგრამ მათი ცოდნა არ არის წესიერათ შეთვისებულ, შესისხლ-ხორცებული მათ აგებულებასთან; ის ნათხოვარია და არა თავისთავათ შეძენილი. ისინი ხელმძღვანელობენ ყოველისფერში მეხანიკური სისწორით (точность), სასტიკი ფორმალიზმით. სკოლის ფერულა, აღზრდის დროს შთაგონებული, ასრულებს თავის საქმეს: ისინი ძლიერ სწორი და აუცილებელი აღმასრულებელნი არიან თავიანთი საქმისა, ასე რომ ხშირათ ამ შემთხვევაში აჭარბებენ კიდეც საღ და წესიერათ განვითარებულ ადამიანთ, რადგან ისინი მოქმედებენ, როგორც მანქანა და არავითარი კერძო და საქმის გარეშე კითხვები არ აღელვებენ და არ უშლიან მათ მოქმედებაში. იმათგან გამოდიან უფრო საიმედო მწერლები; მათ შეუძლიათ თავის თავზედაც დაწერონ პატიოსნების შესაბრალავი რამე, თუ ისინი არ გააფრთხილა ვინმემ. მასთან ერთათ ისინი არც ბავშვები არიან; რადგან მიუხედავათ მათი ჭკუის სითხელისა ხშირათ იმათ შეუძლიათ განვითარება რომელიმე ნიჭისა, მაგალითათ, მათ შეუძლიათ გამოითვალონ ზეპირათ დიდი რიცხვები და იმ წერტილამდე ავითარებენ თავის ტეხნიკურ ნიჭს, რომ ხშირათ გადააჭარბებენ საღი ჭკუის პატრონს. თითქო მთელი მათი ჭკუა ამ მიმართულე-

[4]) ibidem. გვ. 321.

ბაში დახარჯულა და მით უფრო ნაყოფიერია იგი იმ შემთხვევაში, რაც უფრო მეტათ ჩამორჩენილა საზოგადო განვითარებაში დანარჩენი მათი ნიჭი. ამ გვარ სპეციალურ მიმართულებაში ზოგიერთ იდიოტებს შეუძლიათ ნაყოფიერი შრომაც და შეუძლიათ გახდენ სასარგებლო მოღვაწეებათაც, თუ რომ საზოგადოება გამოიყენებს მათ ამ მხრივ, მხოლოთ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ სადაც საჭიროა მრავალგვარი და მრავალმხრივი ნიჭის გამოჩენა, იქ იმედი ნუ გაქვთ მათი, იქ ისინი უნაყოფონი არიან. წარმოდგენათა მოძრაობა დასუსტებულია, აზროვნების გაღიზიანება (раздражительность) დაჩლუნგულია. ეს არის აქეანი Tardum ingenium. იდიოტი სწავლობს სიძნელით, ყოველიფე საგანი მან უნდა მრავალჯერ გაიზეპიროს და მასთან ერთად რა სიჩქარითაც ის ივიწყებს გაზეპირებულს, გვიმტკიცებს, თუ როგორ ცუდათ მოძრაობდა მისი ტვინი და როგორ უნაყოფოთ ჩაიარა მასზე გარედან მომხდარმა მთაბეჭდილებამ. თუ რომ რამე ჩაებჯინება მის ტვინში, ისიც ისე უძრავათ, ერთხელვე გამოჭრილ-გამოკალაპოტებული... უფრო მკაცრათ ტვინის სიჩლუნგე იჩენს თავს უმაღლეს წარმოდგენათა დანაკლისში. უფრო განვითარებულ იდიოტს შეუძლია მგრძნობიარე შთაბეჭდილებათა შეთვისება, მხოლოთ რაც შეეხება განყენებულ საგანთა წარმოდგენათა, მას არ ყოფნის არც ძალა და არც აზრი. თუ ოდესმე გაურბენს მას ამ გვარი რამ თავში, ისიც ბავშური შეხედულებით შეკაზმული. ცხოვრებაზე, იდეათა სამფლობელოზე, რომელშიაც საღი ადამიანის სული პოულობს მუდამ გამაცხოველებელ და ნაყოფიერ გავლენათა, იდიოტმა არა იცის რა და თუ იცის, ისიც ფორმალურათ, უსულ-გულოთ. უკმარისობა და სიძაბუნე იდეათა ასოციაციისა უსათუოთ ბადავს უკმარის პიროვნებას, უკმარის „მე“-ს...

აფექტიური სფერაც იდიოტებისა შემოფარგლულია, ძაბუნი და მოკლებული უმაღლეს მგრძნობარეობათა. მგრძნობარეობა იდიოტებისა შეეხება უმეტეს ნაწილათ მათ ფიზიკურ მოთხოვნილებათა, ის არ აღემატება მისი ტანის მოთხოვნილებათა, გრძნობათა სიამოვნებას. გაუმაძღრობა, ღორ-მუცლობა არის თვისება იდიოტიზმისა. უმაღლეს გრძნობათა შორის იდიოტებში თავმოყვარეობას პირველი ადგილი უჭირავს. იმას შეუძლია სიყვარული, მხოლოთ იმ დრომდე, ვინემ მის სურვილებს არ ეწინააღმდეგები“... აი, ბატონებო, რა შეიძლება მოსდევს ზემოთ აღწერილ მანიას. აი, ეს გახლავთ ის მოვლენა, რომელსაც მეცნიერება უწოდებს გადაგვარებას. კიდევ ვიმეორებ, რომ მე პიროვნებას არ ვეხები, მე ვიკვლევ ჩვენ საზოგადო ცხოვრებას და ვხედავ მასში გადაგვარების აუცილებელ ნიშნებს. თუ ეს გადაგვარება ჩვენი მოწინავე რაზმისა აუცილებელია, მაშ მთელ ერსაც მოელის გადაგვარება?—დამეკითხება მკითხველი. არა. რისთვის?—ამაზე შემდეგ.

იგანელი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

ზუგდიდის მაზრის სოფლები ისეთ გაჭირებაში არიან ჩავარდნილი შარშანდელ დიდ-თოვლიან და ხანგრძლივი ზამთრის გამო, რომ კომმისიას, რომელიც იყო გაზაფხულზე ამორჩეული მაზრის უფროსებისა და ხარჯის-ამკრეფ ინსპეკტორებისაგან, გადაუწყვეტია, რომ ზემოხსენებულ მაზრის სოფლებს შეუმცირდეს სახელმწიფო გადასახადი.

***

მაზეთი „მშაკის“ სიტყვით ბერლინში სწავლობს ამ ჟამათ 26 სტუდენტი სომეხი. ამათგანი მხოლოთ სამი სომეხია ოსმალეთიდან და ერთი—სპარსეთიდან, დანარჩენი სულ რუსეთიდან.

***

ოთხშაბათს, 11-ს დეკემბერს, ჩვენი დრამატიული საზოგადოება მართავს ქ. ე. ჩერქეზიშვილის ათი წლის საარტისტო მოღვაწეობის სადღესასწაულოთ, მის საბენეფისო, წარმოდგენას. ითამაშებენ ბ. გ. სუნდუკიანცის კომედიას „დაქცეული ოჯახი“. ქ. ჩერქეზიშვილის ნიჭს კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება. მის ცოცხალ თამაშს ყოველთვის დინჯი დაკვირვებისა და როლის სვინიდისიერი შესწავლის ბეჭედი აძევს, რაიცა ჩვენ სცენაზე ხშირ მოვლენათ არ ჩაითვლება. ნიჭს ყოველთვის და ყველგან საზოგადოებისადმი წმინდა მოვალეობის ასრულება ჩაუდგამს ხოლმე სულს, უამისოთ ვერ ცოცხლობს ნიჭი და ცხოვრებაში კვალს არა სტოვებს. ქ. ჩერქეზიშვილისა პირ-ნათლათ ემსახურება ჩვენ ქართულ სცენას ეს ათი წელიწადია და ჩვენგან ღრმა პატივისცემისა და წრფელი სიყვარულის ღირსია, და ამას იმედია თვით ჩვენი საზოგადოება დაუმტკიცებს არტისტკას მის სადღესასწაულო ბენეფის-ზე დასწრებით.

***

თბილისის მიხეილის საქალაქო სასწავლებელ-

ში $189^5/_6$ სამოსწავლო წელს, როგორც წლიური ანგარიშიდან ჩანს, სულ 229 შეგირდი ყოფილა; იმათგან სწავლის დამთავრებამდის 50-ს დაუნებებია თავი და 17-ს კი სწავლა დაუმთავრებია. ამ უკანასკნელებში 3 რუსია, 6 ქართველი, 7 სომეხი და ერთიც გერმანელი.

***

პირველ დეკემბრიდან ქალაქის გამგეობას დაუნიშნავს ლორის ხორცზე ამნაირი ნიხრი: 1-ლი ხარისხისა 8 კაპ. და 2-რე ხარისხისა 7 კაპ.

***

ინჟ. ისაევის კოჯორში რკინის გზის გაყვანის პროექტი. ყველამ კარგათ იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოჯორს თბილისისათვის, როგორც საგარაკო ადგილს. ბ. ისაევის გამოანგარიშებით, ამ გზის სიგრძე 10 ვერსი იქნება, გზა ვიწრო ლიანდაგიანი უნდა გაკეთდეს, მთა-გორაკიან ადგილების შესაფერი. გზის გაკეთება სულ დაჯდება 250,000—300,000 მანეთამდის. „გასართობი“ სადგურის მოწყობა, წყლის გაყვანა და ელექტრონული განათების შემოღება კოჯორში დაჯდება 100,000 მან. მაშასადამე, სულ ამ საქმეს მოუნდება 350,000—400,000 მანეთი, რომელიც უნდა შედგეს, ბ. ისაევის აზრით, ას მანეთიან აქციების გამოშვებით.

***

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი, ს. ს. დიმიტრიევი, გადაუყვანიათ ყუბანის მაზრაში სახალხო სკოლების დირექტორათ.

***

„რუსეთის ტელეგრაფის საზოგადოების“ აგენტათ ამიერ-კავკასიაში დანიშნულია გაზ. „კავკაზ“-ის რედაქტორი ვ. ვ. ველიჩკო.

***

**ხაზინის სალარო (казначейство), როგორც ბანკის ოპერაციების აღმასრულებელი.** 24 მაისს უმაღლესათ დამტკიცდა დროებითი კანონი (სამი წლის ვადით) შესახებ იმისა, რომ ის ფულები, რომლებიც ამ ქამათ ხაზინის სალაროებშია, სახელმწიფო ბანკის გადასაბრუნებელ (**оборотнымъ**) თანხათ უნდა ჩაირიცხოს. ეს მართებლობის ახალი ზომა, რომელიც მომავალი 1897 წლიდან შევა ძალაში, მდგომარეობს იმაში, რომ იმ ქალაქებში, რომლებშიაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულება არ არსებობს, ხაზინის სალარო (**казначейство**) იჭერს მის ალაგს. 24 მაისის კანონის ძალით ხაზინის სალაროს შეუძლია: ა) დიდფასიანი ქაღალდის ფულის წვრილზე დახურდავება, წვრილის დიდ-ფასიანზე გაცვლა და აგრეთვე უვარგისის გამოცვლა; ბ) ყიდვა და გაყიდვა სარგებლიანი (პროცენტებიანი) ქაღალდებისა; გ) პროცენტების მიღება კუპონებით; დ) სესხის მიცემა სარგებლიან ქაღალდებისა გირავნობით; ე) კერძო ფულის გადატანა სახელმწიფო ბანკის კანტორებში და განყოფილებებში და აგრეთვე სხვა ხაზინის სალაროებში, რომლებიც ბანკის ოპერაციებს ასრულებენ; აგრეთვე იმავე დაწესებულებებიდან ფულის მიცემა; ვ) ფულის შეტანა მიმდინარე ანგარიშზე და აგრეთვე ვადით და უვადოთ; ზ) სარგებლიანი ქაღალდების მიცება შესანახათ; ჱ) შემნახველი კასის ოპერაციები და სხვ. დაწვრილებითი წესდება ამის შესახებ გამოქვეყნებულია გაზ „Кавказъ“-ში № 317.

***

გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“-ს ქუთათელი კორესპონდენტის სიტყვით, 2 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საბჭოს გაურჩევია ორი მოხსენება: პირველი მოხსენება ეხება იმ კითხვას, თუ როგორ უნდა შეუთანხმდეს საქალაქო დებულების 136 მუხლი ბინაზე დაწესებულ სახელმწიფო გადასახადს და აგრეთვე ქალაქის სასარგებლოთ ბინაზე გადასახადის დაწესებას. ამ საგნის გამოსარკვევათ ამ რამდენიმე ხნის წინეთ, ქუთაისის საბჭოს ცალკე კომისია შეუდგენია, რომელიც იმ დასკვნამდის მისულა, რომ ქალაქმა თავის სასარგებლოთ ბინაზე გადასახადის შემოღება სრულებით უარ-ჰყოს ან და დაუცადოს, სანამ სხვა ქალაქები შემოიღებდენ ამნაირ გადასახადს. ქალაქის გამგეობა კი პირ-იქით საჭიროთ თვლიდა დაუყოვნებლივ შევატყობინოთ მართებლობას საქალაქო გადასახადის შემოღება ქუთაისში და ამასთანავე ამ გადასახადის ალება სახელმწიფო გადასახადთან ერთათ. რასაკვირველია, ბინაზე საქალაქო გადასახადის დაწესებას შემდეგ სახლის მქირავებელთაც უფლება მიეცემათ ქალაქის თვით-მმართველობის საქმეებში მონაწილეობის მიღებისა. საბჭომ ერთ ხმათ გადაწყვიტა: მომავალში შემოღებული იქნას ბინაზე საქალაქო გადასახადი და შემუშავდეს ამის წესდება; სახელმწიფო და საქალაქო გადასახადის ერთათ ალება კი უარჰყვეს.

მეორე მოხსენება ქალაქის უძრავ მამულების ხელ-ახალ დაფასებაზე ეკუთვნოდა თ—დ პ. ა. თუმანიშვილს. როგორც ჩანს მოხსენებიდან, 1838 წელს

ქუთაისი, რომელიც მაშინ დაფასებული იყო 3.467,500 მანეთათ, იძლეოდა ხაზინის სასარგებლოთ 3,126 მანეთს; 1894 წელს ეს გადასახადი 8,138 მან. და 20 კაპ. ასულა და თვით ქალაქის ღირებულება კი 6.121,103 მანეთამდის. მოხსენებაში მოყვანილია ძლიერ საინტერესო შედარებითი ცნობები იმის შესახებ, რომ ქუთაისი შედარებით სხვა უფრო მაზე მდიდარ ქალაქებზე მეტათ არის დაფასებული და ამიტომ თ—დ თუმანიშვილის აზრით საჭიროა ხელახალი დაფასება მოხდეს ქალაქის უძრავ მამულებისა. თუმანიშვილის მოხსენებას უყარეს კენჭი და საბჭომ 18 ხმის უმეტესობით 9 წინააღმდეგ მიიღო ის უცვლელათ.

***

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ახალი წიგნები: 1) სწავლა-განათლება და მისი ისტორია. შედგენილი ე. ბარნაბაშვილის მიერ.

2) ტყის გონიერი მოვლა-მოშენება და მოხმარება, შედგენილი სალარიძის მიერ.

ეს ორივე წიგნაკი გამოცემულია ივ. როსტომაშვილის მიერ სუფთათ და რიგიანათ, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე მისი გამოცემები. ბ. როსტომაშვილს სულ 18 წიგნი გამოუცია წელს და ამითი თავდება მისი დაპირება; ახლა ხელის მომწერნი მხოლოთ ალბომს მიიღებენ.

—

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემანი:

1) საქართველოს საშუალო საუკუნეთა ისტორია. თავ. ს. ბარათაშვილისა. ნათარგმნი ს. ხუნდაძისაგან, რვეული II. ფასი 30 კ., გვ. 52. (გამოცემა № 11).

2) ზვიმა. ქინაქინის ამბავი, ჟანლისის თხზულებიდან გამოკრეფილი დიმ. ივ. ყიფიანის მიერ, ფასი 10 კ., გვერ. 44. გამოცემა № 12.

3) დედა შვილის თავგადასავალი ე. დეამიჩისისა. მეორე გამოცემა. ფასი 15 კ., გვერდი 41.

## „კვალის" კორესპონდენციები.

ფოთი: ამ დღეებში აქაურ საქალაქო სასწავლებლის სახელოსნო განყოფილების დარბაზში ამავე სასწავლებლის ინსპექტორის თაოსნობით გაიმართა ზედი-ზედ ორჯელ სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. პირველი საღამო განსაკუთრებით მოწაფეებისათვის იყო გამართული, მეორეზე კი ქალაქის საპატიო მკვიდრნიც იყვნენ ბარათებით მიპატიჟებული. პირველათ შეგირდებმა წაიკითხეს ლექსები, იმღერეს სხვა-და-სხვა ხმები და სხვა, მეორეთ კი დადგეს რუსულათ საყმაწვილო ოპერეტი „Снигирь и Ласточка". ამ საღამოზე სხვათა შორის ერთმა მასწავლებელთაგანმა წაუკითხა რუსულათ მოწაფეებს ეკატერინე დიდის ბიოგრაფია.

საღამომ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა, მარა სიმღერით კი ვერ იმღერეს კარგათ. საბრალო კახური „ნანა" ჯვარს აცვეს, დატანჯეს! ამ კახურ „ნანას" პროგრამაში „მეგრული ნანა" ეწოდებოდა!!.

ფოთი, მოგეხსენებათ, ყოველ გვარ გასართობს მოკლებულია და სასურველია ასეთი საღამოების ხშირათ გამართვა, მარა მეთაურებს მეტი საქმის ცოდნა და ადგილობრივი პირობების შეგნება ეჭირვებათ.

ი. იანქული.

***

ქ. ნახიჩევანი (ერევნის გუბერ.) ამ დღეებში მე შემთხვევით მომიხდა ერევნის გუბერნიაში მოგზაურობა და არ შემიძლია ნახულ-გაგონილი არ აღვნიშნო.

ქ. ნახიჩევნიდან დაწყებული დილიჯანამდე თითქმის ყოველ ფოსტის სადგურზე შეხვდებით რამდენსამე გამოქცეულ სომხებს, ფეხ-შიშველა ძონძებში მოწყალებისათვის ხელ გამოშვერილებს.

სად. ბაშნორაშენს და სარდარაქს შუა ორგან შემხვდენ 9—10 სული, შიმშილისაგან ღონემიხდილებს აღარ შეეძლოთ გზის გაგძელება, საცოდავათ ღრიალებდენ და შველას ითხოვდენ გამვლელ-გამომვლელისაგან!

აგრეთვე ორ-სამ ადგილას შემხვდენ ყინვისაგან დაბუჟებულ-დაკუნტულები!..

როგორც გავიგეთ, სომეხთა პატრიარქის განკარგულებით ზოგ ამათგანს ეჩმიაძინის მონასტრისაგან ეძლევათ საზრდო, ზოგი კი დაბა-სოფლებში იგზავნებიან, მაგრამ მიაღწევენ კი დანიშნულ ადგილამდე?!.

ტრ. ინასარიძე.

## შიომღვიმის მონასტერი.

შიომღვიმის მონასტერი, რომლის განახლებას შეუდგა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ალექსანდრე, მდებარეობს 30 ვერსის მანძილზე ტფილისიდან. იგი არის დაფუძნებული მეექე-



შიომღვიმის მონასტერი.



შიომღვიმის მონასტრის ქვა.

სე̃ვ საუკუნეში წმ. შიოს მიერ იმ ადგილს, რომელიც უძველეს დროიდან იწოდებოდა სარკინეთათ. აქამდის მონასტრის გარშემო დარჩენილა მრავალი გამოქვაბული სენაკები, სადაც ღმერთს ადიდებდენ ჩვენი წინაპარნი. ამ მონასტერში სამი ეკლესიაა მოთავსებული: პირველი იოანნე ნათლის მცემლის სახელზე, უბრალო ქვისაგან აშენებული, ეკუთვნის თვით წმ. შიოს ხანას და შემდეგ 1730 წელს განახლებულია გივი ამილახვრის მიერ. მეორე ეკლესია აგებულია ღვთისმშობლის მიცვალების სახელზე და მესამე წმ. შიოს სახელზე არის ნაკურთხი. დარჩენილა აგრეთვე სტრაპეზო სენაკი ძმათათვის, სადაც მოჩანს ძველი მხატვრობა.—ჩვენ გავარჩიეთ თვით წმ. შიო და ტრედი. აქედან მიდის შესავალი აკლდამაში, სადაც დაცულნი არიან ნაწილნი წმ. შიოსი. უჩვენებენ აგრეთვე საფლავს წმ. ევაგრისას, რომელიც იყო მოწაფე წმ. შიოსი. როდესაც წმ. შიომ გარდაწყვიტა განშორებულიყო ძმათაგან, მაშინ კვერთხი გადასცა წმ. ევაგრის და თვით ჩაესვენა გამოქვაბულში. ამას შემდეგ წმ. შიო აღარ უნახავთ ამოსული სენაკიდან: იქ ყოველ დღე მცირე სანოვაგეს აწოდებდა ერთი ბერთაგანი. იშვიათათ ნახავდა ევაგრე და მხოლოთ სულის განტევების ჟამს მოუწოდა მღვდელს, რომლისაგან მიიღო წმ. ზიარება.

მონასტრის გალავანში დარჩენილა ერთი გულამოჭრილი ქვა, რომლის შესახებ, აი, რას მოგვითხრობენ: ტყის მხეცები იტაცებდენ მონასტრის სახედრებს. ძმანი შეწუხებულნი იყვნენ,—წმ. აკვა შევედრა უფალს, რომ ყოველი მხეცი მის წინაშე გამოცხადებულიყო. უსმინა უფალმა და მხეცნი წარდგენ აკვას წინაშე, რომელმაც მიმართა მათ შემდეგი სიტყვით, ამოერჩიათ სხვა ადგილი საცხოვრებლათ და ერთი მათგანი კი დარჩენილიყო მცველათ მონასტრის საქონლისა. მგელმა იტვირთა მწყემსობა და სვინიდისიერათ ასრულებდა 7 წლის განმავლობაში თავის მოვალეობას. აქამდის დარჩენილ ქვაზე ბერები აჭმევდენ ამ მგელს, როდესაც იგი მორეკავდა ხოლმე საქონელს. საყურადღებოა აგრეთვე ამ მონასტერში საფლავი ცხრა ძმათა ამილახვართა, რომელნიც დახოცენ ლეკებთან ბრძოლაში. ძველ დროს შიომღვიმე მდიდარი სავანე ყოფილა. ამ ჟამათ არც ძვირფასი ხატებით ♁ არც შესანიშნავი ხელნაწერებით არ არის გამოსაკვლევათ ინტერესის აღმძვრელი, მაგრამ წმიდა ნაშთებით იგი მუდმივი სალოცავია ქართველი ერისთვის.

ა. ხახანაშვილი.

## უდროოთ დაბერებული.

გულს არ ვიტეხდი... ჯერ კიდევ
მეგულებოდა წინ ბედი;
მეგონა ბავში გიყავი,
მასულდგმულებდა იმედი,
რომ მოვიდოდა ჩემი დროც,
ჩემთვისაც გათენდებოდა
და მივასწევდი უკეთესს,
რაც მსურდა მენატრებოდა.
დღეს კი რას ვხედავ?.. ოჰ, ღმერთო,
ჭაღარა გამომრევია,
სიბერეს თავში ჩაუკრავს,
ტანჯვას დრო დაუმღევია.
და, თუმც ცხოვრების წვერამდე
შუა გზაც ვერ გავიარე,
უკვე დაშვებულს თავდაღმა,
მიმელის შავი სამარე!..
საშინელია სიბერე,
როს ჭაბუკია ჯერ სული
და საბრალოა საბრალო,
უდროოთ დაბერებული!

დუტუ მეგრელი.

## † ნეკროლოგი.

ამა ნოემბრის 7 დაასაფლავეს სოფელ ბაჯითში (შორაპნის მაზრა) არქიფო თეოფანეს ძე ტყემალაძე. განსვენებული ათის წლის განმავალობაში სამაგალითოთ ილევწოდა სახალხო მასწავლებლობის სარბიელზე. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული, მასწავლებლობდა სხვა-და-სხვა დროს ლეჩხუმის მაზრაში, არგვეთში და ხარაგაულში (შორაპნის მაზრა). შემდეგ შევიდა ახალ გახსნილ ხონის საოსტატო სემინარიაში, დაასრულა იქ სწავლა და გამწესდა მასწავლებლათ აბაშის (სენაკის მაზრა) სასოფლო სკოლაში, სადაც კარგა ხანს ასწავლიდა და კარგათაც დააყენა სკოლის საქმე. აქედან გადავიდა მასწავლებლათ წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში და რადგან დარწმუნდა, რომ მისთვის აქ მეტი ცოდნა იყო საჭირო, წავიდა იალტაში ნიკიტინის სამეურნეო სასწავლებელში, დაასრულა იქ სწავლა და განვითარებული დაბრუნდა წინამძღვრიანთ სკოლაშივე მმართველათ. სწორეთ იმ დროს, როდესაც სრულიად აღჭურვილი ცოდნით და გამოცდილებით ახლათ შეუდგა შრომას და საქმეც კარგათ მიჰყავდა, ის შეიპყრო ფილტვების ავათმყოფობამ და იძულებული შეიქნა დროებით თავი დაენებებია თავის საყვარელ ხელობისათვის. ორი წლის განმავლობაში ებრძოდა სენს; ამ დროს თვალს მაინც ადევნებდა ჩვენ სწავლა-განათლების მსვლელობას და იმედს არა ჰკარგავდა, რომ კიდევ დაუბრუნდებოდა თავის არჩეულ გზას, მაგრამ 3 ნოემბერს გარდაიცვალა 36 წლისა და ბოლო მოუღო მის კეთილ იმედებს. განსვენებული მტკიცე და საუკეთესო ხასიათის კაცი იყო.

უ. ჩხეიძე.

## ვაჟა-ფშაველას პოეზია. *)

(კრიტიკული ცდა.)

ცეცხლი ჰკრთებოდა ღვთლფზედა
ჩონგურს უკრავდა დროული;
კაცი რამ უჯდა გვერდზედა,
დამღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორ არბევდენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა,
ყველგან მადლობას სწირავდენ
მარჯვენას კაი ყმისასა.

ვაჟა.

„მოყურიადე''—მზვერავი დაექომაგა „სტუმარ-მასპინძელს'', გაიგო, რაც სწადდა, და ამბავს სოფელს ატყობინებს. შეიძრა მთელი სოფელი, როგორც ერთი კაცი, და თავისი მოსისხლე მტრის მასპინძელს შემოესია. ჯოყოლას პურ-მარილი შებღალულია. მთიელთ მტკიცე მამა-პაპურ ადათს ჩირქი წაეცხო. სოფელმა შეჰკრა შეხოჭა ჯოყოლას სტუმარი და მასპინძლის მრისხანე მუქარას ყურიც არ ათხოვა. მასპინძელს უთხრეს: სტუმარი მტერია, შენი ამომგდებიაო, მაგრამ მასპინძლობის წესი მტრისადმი სიძულვილზე უფრო მძლავრი გამოდგა და დასძლია იგი. მიჰყავთ გაბაწრული ზვიადაური მისი მსხვერპლის საფლავზე შესაწირავათ. „ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო, კარგი დაგიდგათ დარია!'' შხამათ ამოსდის გულიდან ზვიადაურს. სისხლით ნაწერი მისი ბედის-წერა სისხლითვე უნდა აღსრულდეს.

*) იხ. „კვალი", № 49.

„მზე ჯერ არ ამოსულიყო,
„ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,

როდესაც ხელ-შეკონილი ზვიადაური ქისტებმა სასაფლაოზე მიიტანეს. იქ, მაღალ და „მდუმარე“ მუხის ძირას, მსხვერპლის სამსხვერპლოზე ზვიადაურის სიცოცხლეს საუკუნოთ ბოლო მოეღება. მაგრამ ერთი რამ არის საჭირო: ის, ვისაც სამსხვერპლოზე ჰკლავენ, უნდა „შედრკეს“, თორემ მკვდრისათვის შეწირულათ არ ჩაითვლება.

დანა აქვს მიბჯენილი ყელზე ზვიადაურსა, მაგრამ ვაჟკაცი სიკვდილის წამსაც ვაჟკაცია.

„რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლულსა,
„ქედ ჩაჟანგებულ მთასაო?

„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ ხრიალებდა სიძულვილის მსხვერპლი,—

„ძაღლ იყოს!“—გულში ამბობდა,
„მანამ მოსწყრიდენ თავსაო.

. . . . . . . .

. . . . . . . .

„გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
„გული გულადვე რჩებოდა.

დასრულდა სისხლით მორწყული შურის ძიება, დასრულდა ქისტთათვის ამაოთ და სამწუხაროთ: ზვიადაური არ „შედრკა“, მოკლულს „არ შეეწირება“.

საღამო ჟამია. „სინათლეს სული ამოხდა“. „ალარსადა ჩანს, გამქრალა თეთრი თმა შავის მთებისა“, აღარ ჩანს—

„ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
„სახე იმ სალის კლდისაო,
„რომ მუდამ მგლოვიარეა,
„ცრემლი ანკარა სდისაო.

ხევში, წყაროს პირზე, დგას ვიღაც ქისტის დიაცი, ტირის და შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს. ჯოყოლას ცოლია, ლამაზი აღაზა და „დაკლული“ ვაჟკაცის სიკვდილს ჰგლოვობს: „სიბნელეს უკვდის, მიეიდეს და ღამით იტიროს მკვდარი სტუმარი“. ჰგავს მკვდრისადმი ცოცხალი სიყვარული გაჰღვიძებია ლამაზ აღაზას გულში და სახიფათო საქმე გაუბედნია. დიაცმა ამოვლო კრძალვით საფლავთან, მუხლ-მოყრით დაეყრდნო მკვდარსა და ქვითინებს გულ-ამოსკვნითა. „ვის ცოლი, ვის ქმარსა სტირის?!“

ეს რა ხმა ესმის საბრალოს?—„დგანდგარი, ყურებს გაუდის ჟრიამული“. მკვდრები, ქისტის დიაცის საქციელით განრისხებულნი, შეიძრნენ სამარეებში და ღამის წყვდიადში გაისმის „მათი წყრომა და ჩივილი“.

გაიქცა თავ-ზარ-დაცემული ქალი და უკანიდან ესმის მისი მდევარის, მკვდარისა და მკვდრეთით ამდგარი მისი ძმის კივილი: „ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ, რისხვა რათ დამეც მედგარიო!“

გაფითრებული და თითქმის გულ-წასული შევარდება აღაზა სახლში და თავის ქმარს დაეცემა გულზე. შეშინებული ჯოყოლა ცოლს მიზეზს ჰკითხავს. აღაზა მისგან შეთხზულ დევების ამბავს მოუყვება. გზაში დამხვდენ და ჩაქოლვას მიპირობდენო, ბოლოს კი გამოტყდება და მართალს ეტყვის. ჯოყოლა გულ-დამშვიდებულია: არაფერს ერჩის. „იტირე?! კარგი გიქნიაო!“—

„მე რა გამგე ვარ მაგისა;
„დიაცს მუდამაც უნდება
„გლოვა ვაჟკაცის კარგისა!

ასე კეთილშობილურათ სჯის დინჯი და გულუბრყვილო მთიულეთის შვილი.

მეორე დილას აღაზა გარეკავს მთაზე ძროხებს, მოიპარება სასაფლაოს თავზე კლდიდან,

„იქიდგან ათვალთვალს ყორნებსა,
„სვავთა მხარ-მოფარფაშეთა,
„ორბებსა გაუმაძღარსა,
„მკვდრის ლეშზე მოფაშფაშეთა.

ქალი კლდის თავსა ზის, ვითომ წინდასა ქსოვს, ხალხისთვის თვალის ასახვევათ, ნამდვილ კი კენჭებს ესვრის და აფთხობს მისი მკვდარი სტუმრისა და საყვარლის ლეშზე მოსადილე ფრინველთა.

შემდეგ სცენა გამოიცვლება. მოდის ხევსურთა ჯარი ზვიადაურისათვის ქისტებზე შურის-საძიებლათ. ჯოყოლა, თავისი სოფლისაგან შერცხვენილი და პურ-მარილ შებღალული, სოფელს არ უცდის, არაფრათ აგდებს, მტრებს მარტო შეებრძვის და გმირულათ კვდება. ქისტები დამარცხდებიან. ხევსურნი თავის გმირ ზვიადაურის ძვლებს ჰკრეფენ და შინ ბრუნდებიან.

—ჯოყოლას გვამს „ლაშ დაღრენილი, სასტიკი შავი ხერხა“ ინახავს,

„თავს დაჰფრინტალებს ყორანი,
„წვერ ულვაშს უქრის ქარია,

სანამ მას არ მიაგნებს და არ გამოიტირებს გულ-მოკლული ქვრივი—აღაზა. შემდეგ საბრალო გადავარდება ხევში და თავს დაიხრჩობს.

მას აქეთ იქ, სასაფლაოს კლდის თავზე უცნაურ სანახავს ხედავს ხალხი ღამ-ღამობით ქისტეთის

ხალხი. მკრთალათ აინთება და ბჟუტავს კლდეზე ცეცხლი, გვერდს მკვდარი სტუმარ-მასპინძელი უსხედან და იმათ მასპინძლობს სახე-მოწყენილი, მწუხარე ალაზას აჩრდილი.

ეს არის ვაჟა-ფშაველას საუკეთესო ნაწარმოების შინაარსი.

პირველი კითხვა, რომელიც თანამედროვე მკითხველს ებადება ხოლმე ამისთანა შემთხვევაში, შემდეგია: რა აზრი, რა იდეა სუფევს პოეტის ნაწარმოებში, რის მოციქულია პოეტი—მხატვარი? ამ საკითხავის ახსნას მხოლოთ ფშაური ხალხისა და ვაჟა-ფშაველას პოეზიის შედარება შეგვაძლებინებს. ფშაური პოეზიის დასაბამი წარსულის წყვდიადშია დაკარგული და ფშაური ლექსები ამ ხალხის ცოცხალი მატიანეა. ამ ლექსთა ყოველი სტრიქონი თითქო წარსულ ჟამთა ფათერაკის მძიმე ურომ გამოსჭედა ხალხის გულში. „მძიმე უბედობა უძლურ-უსუსურ გულს შუშასავით დაამსხვრევს ხოლმე, რკინა-გულს კი უფრო განამტკიცებსო“, გვითხრა პოეტმა, დ ამას ნათლათ მოწმობს მთელი ფშაურ-ხალხური შემოქმედება. ხალხი შავ-ბედის სკოლაში გაიწაფა, არ შეუდრკა ამ უბედობას და გულის ნადები ალალ-მართიეათ ალბეჭდა თავის ლექსებში. მთელ ფშაურ-ხალხურ პოეზიაში თქვენ არსად არ შეხვდებით ბედის მდურვას, ნაღვლიან ჩივილის კილოს, ხალხს მისმა ბედის წერამ ასწავლა ცხოვრება და სიკვდილი გმირული და ტყვეობასა და გადაგვარებას გადაარჩინა. ფშაური ლექსები ალჭურვილ-შეიარაღებული ლექსებია, თითქო მზათ არიან ბრძოლის ველზე გასასვლელათ. ამ ლექსთა ფერი და იერი მოწმობს, რომ მათი შემოქმედი ხალხი მუდამ მტრებით იყო გარშემოზღუდვილი და მყუდრო ცხოვრება არ ღირსებია. ფშაურ ლექსების კილოსა და შინაარს არ ეშინია მტერთ-შემოსევისა: იგი იმისთვის არ ახალია-ძველია, და ფშავლებმა იციდენ, როგორ უნდა დახვედროდენ იმათ.

ამისთანა ცხოვრების ერთგვარმა ვითარებამ შექმნა ფშაურ პოეზიაში კილო ერთ-გვარი, ცალ-მხრივი და ერთ-ფეროვანი. ეს იყო ერთათ ერთი გზა ხალხის შემოქმედებისათვის: ხალხს არ ეცალა სულის სანაზოთ და სანებიერო გრძნობათა ზიზილ-პიპილებისათვის: ყოველ წამს მოსისხლე მტრების მოლოდინში იყო; და ამიტომ ლირიკას, გულის პოეზიას, წმინდა მღელვარე და მოსიყვარულე სულის გრძნობიერებას სულ მცირე ადგილი ხვდა ფშაურ პოეზიაში. იქ ისმის მხოლოთ ფშაველი მეომარის მძიმე ვაჟ-კაცური სულთქმა და დინჯი და უშიშარი გულის ძგერა.

რა აზრი უნდა ქქონდეს მკითხველმა ფშაველ პოეზიაში? რა აზრის გამომხატველია ფშაური მეომრის ხელში ამოწვდილი მოელვარე მახვილი, მტრისათვის, „მკერდამდის გასაპობლათ“, მომზადებული? ეს მახვილი მძლავრი გრძნობის იარაღია, და ამ გრძნობის გამომხატველია მთელი ფშაური და ვაჟა-ფშაველას პოეზია.

ვაჟა-ფშაველამ მხოლოთ აკრიფა ფშაურ პოეზიაში გაფანტული გრძნობები, ერთათ შეკონა და თავისი საკუთარი ცხოვრების წყალი მოაპკურა.

პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ თავიდან ბოლომდის სასტიკათ არის გამოკვეთილი, იქ ერთ სურათი არის გამოსახული მთიელი ხალხის სულის მხოლოთ ცალ-მხრივი ძლიერება. „სტუმარ მასპინძელში“ არ ჩანან ცოცხალი ადამიანები: ხალხური პოეტი ვერ მოერევა ცოცხალ სულის რთული ვითარების გამოხატვას. არც ერთი მომქმედი პირი ამ პოემაში პიროვნების მზგავსათ არ არის შექმნილი. კარგათ დააკვირდით ჯოყოლას და ზვიადაურის სულის ვითარებას. მათი სულის მანქანა, მათი „ადამიანობის“ შინაარსი მეტათ ღარიბი და მარტივია: დინჯი გულადობა, რჯულზე უმტკიცესი სტუმართ-მოყვარეობა, გაუმაძღარი შურის ძიება, ვაჟკაცობის დაფასება და პატივის ცემა,—ყველა ესენი თავის და თავათ სრულ-ცოცხალ ადამიანს ვერ შექმნიან. ყველა ეს თვისებანი იმიტომ გვხიბლავენ ჩვენ ვაჟას პოემაში, რომ იმათ გამოსახვას პოეტმა მთელი თავისი ძლიერება შეალია; ეს ასეა, მაგრამ ორი სამი ხმა, ორიოდე ნოტი, რაც უნდა მაღლა აუწიოთ იმათ, რთულ მუსიკას ვერ შეედრებიან, რაც უნდა მძლავრათ სცეთ დაფ-ბუმბერაზს, ადამიანის სულის დიდ კონცერტს მაინც ვერ წარმოუდგენთ მსმენელ-მაყურებლებს. დაფ-ბუმბერაზის ხმები მხოლოთ სხვათა შორის არიან მუსიკაში საჭირონი და კონცერტისათვის შნო-ლაზათის მიმცემნი, მარტო კი ისინი მხოლოთ ადამიანის ცალ-მხრივ ძლიერებას მოწმობენ და სხვას არაფერს.

ვისაც ჰომეროსის „ოდისსეი“ წაუკითხავს, ეცოდინება, რომ ამ პოემაში გამოყვანილი ოდისსეის უკანასკნელი მეღორე თავით ფეხამდის მეღორეა, საუცხოვო ხელოვნებით გამოკვეთილი. მისი საუბარი შინ დაბრუნებულ საყვარელ პატრონთან მთელი ადამიანის სულის მოთხრობაა; და ამ ადამიანის სულის ცოდნით არის ჰომეროსი დიდებული. სულის ორიოდე ძლიერი თვისების ცოდნა კი დიდი ცოდნა არ არის. ეს თვისებანი ფშაურ ხალხურ პოეზიასაცა აქვს კარგათ შეგნებული. ფშაური ლექსი ისე მძლავრათ ვერ გამოთქვამს გმირულ-პატრიარქალურ ჰანგებს, როგორც ვაჟა, მაგრამ ფშაურ ხალხური ხმები მაინც იმავე ვაჟას ხმებია, მხოლოთ ერთი

ოქტავით, შეიძლი მუსიკალური ხარისხით არიან მაზე უმდაბლესნი.

ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ ვაჟა-ფშაველა მხოლოთ ხალხურ პოეტათ და ვერ ვეთანხმებით ბ. გ. ყიფშიძის აზრს, რომელიც ვაჟას ნაწერებს სალიტერატურო შედევრებს უწოდებს. სალიტერატურო შედევრი მაღალი სიტყვაა, ევროპიული ცხოვრების ნაყოფი, და ვაჟას პოეზიის დასასურათებლათ არ გამოდგება. ვაჟას შემოქმედებას რომ მეტის სამართლიანობით მოვექცეთ, შეიძლება კიდევაც შედევრი დავარქვათ, მაგრამ შედევრი არა ევროპიული, არამედ მხოლოთ ძველებურ—ჩვენებური, ფშაურ-ხალხური.

ი. ნაკაშიძე.

(შემდეგი იქნება)

# უცხოეთიდან.

## სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II *)

### სკოლა.

ყველა ამ საზოგადოებებს კერძო და სპეციალური ხასიათი აქვთ. ესენი უმრავლესათ ადგილობრივი, სამაზროა, ზოგი მთელ ვიურტემბერგსაც წვდება, როგორც, მაგ., ხატვის საზოგადოება, რომლის წევრი ყველა ხატვის მასწავლებელია, მაგრამ ამას მაინც სპეციალური დანიშნულება აქვს, თავის საგნის გარეშე არ გადადის. სკოლა არის არა მხოლოთ საგნების შესასწავლი ალაგი, არამედ იმავე დროს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ლაბორი. ისავრცელებს ამა თუ იმ საზოგადო აზრს, ნერგავს ამა თუ იმ მიმართულებას, დგას ამა თუ იმ პრინციპზე. ვაი იმ ერს, რომლის სკოლა საზოგადო მიზანს, იდეალს არ ემსახურება და მხოლოთ თავის სპეციალურ საგნებში, გაკვეთილებში ჩაკეტილია. აქ შეგიძლიათ ისწავლოთ ეს თუ ის საგანი, მაგრამ ყველა ეს ცალცალკე, დაბნეულათ, ერთმანეთის დაუკავშირებლათ და მაშასადამე ჩქარა დასავიწყებლათ. თითოეული გაკვეთილ-გაძღენთილი უნდა იყოს იმ პრინციპით, რომლის ცხოვრებაში გატარება სკოლას მიზნათ გაუხდია. რა გამოვიდა გაკვეთილები გაუმჯობესდა და ეს პრინციპი ძველ კალაპოტში დატოვო. ამის შედეგი ის არის, რომ ჩინებულათ მოწყობილი გაკვეთილი მავნე ან უსარგებლო პრინციპის გამტარებელია. აქაურ მასწავლებლებს ეს კარგათ აქვთ შეგნებული და თავიანთი ყურადღებაც აქვთ მიუმართავთ. დაუარსებიათ საზოგადოთ „სახალხო მასწავლებელთა საზოგადოება“, რომლის მიზანია სახალხო განათლების ჭეშმარიტ გზაზე დაყენება და ყოველივე რეაქციონური განკარგულებების წინაამდეგ ბრძოლა. ამით მას პოლიტიკური ხასიათიც ეძლევა. სწავლა განათლების საქმეს პოლიტიკურ მართვა-გამგეობასთან ხომ მჭიდრო კავშირი აქვს. რანაირიც მმართველობაა, იმ ნაირია კანონმდებლობა და მაშასადამე იმნაირია სახალხო განათლების მიმდინარეობაც. ვინც იღვწის უკანასკნელის შეცვლისათვის, ის უნდა იღვწოდეს პირველის შეცვლისათვისაც. ასეთი ცვლილება აქ, სადაც თვით კანონ-მდებლობა ხალხის წარმომადგენელთა ხელშია, რასაკვირველია, ძლიერ გაადვილებულია. პოლიტიკური ცვლილება ნიშნავს შესაფერ პოლიტიკურ აზრის გავრცელებას, მომხრე დეპუტატთა არჩევას და მით ძველებური წესების ახლათ გარდაქმნას. აქაური მასწავლებელი თავის აზრის გაყვანისათვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის, ამა თუ იმ პარტიას მომხრეობს, ამა თუ იმ დეპუტატს ირჩევს. მათი „საზოგადოება“ ინსპექტორს და დირექტორს კი არ თხოვს ახალი რეფორმის შემოღებას, არამედ თვითონ დეპუტატთა საკრებულოს და თუ აქაც არ უსმინეს, დეპუტატთა არჩევაში თვითონ ერევა და თავის საკუთარ კანდიდატს აყენებს. საქმე იმაში კი არ არის, ეს კანდიდატი არჩევნიდან გამარჯვებული გამოვა თუ არა, არამედ საქმე იმაშია, რომ ამით მასწავლებლობა, როგორც კორპორაცია, არსებული სკოლის სისტემის წინაამდეგ „პროტესტს“ აცხადებს.

მასწავლებელთა საზოგადოება სამ ნაირია: მაზრის, რომლის წევრი ერთი მაზრის მასწავლებლებია, ვიურტემბერგის, რომლის წევრი მაზრის ყველა „საზოგადოებაა“ და ბოლოს მთელი გერმანიის, რომელიც ყველა პროვინციის „მასწავლებელთა საზოგადოების“ წარმომადგენელთაგან შედგება. ვიურტემბერგის მასწავლებელთა საზოგადოება ყოველ ორ წელიწადში შეიყრება და არჩევს მიმდინარე საქმეებს. მისი წევრია ყველა მასწავლებელი, რომელიც კი წელიწადში საზოგადოების სასარგებლოთ 1 მარკას იხდის და მის ორგანოს, ყოველ თვიურ ჟურნალს „სასოფლო სკოლას“ [1]) იწერს. საზოგადო კრება ირ-

*) იხ. „კვალი“ № 50.

[1]) იბეჭდება შტუტგარტში. წელს საორ-კვირო ჟურნალათ გადააკეთეს.

ჩევს გამგეობას, ხაზინადარს, ამწესებს სამაზრო აგენტებს, არკვევს და წყვეტს სხვა-და-სხვა წინადადებებს, იხილავს სამაზრო საზოგადოებათა გადაწყვეტილებას და სხვ. აგრეთვე მის ხელშია ორგანოს რედაქცია და გამოცემა. შარშან მან ვიურტემბერგის დეპუტატთა საკრებულოს (ლანდტაგი) წარუდგინა თხოვნა სახალხო განათლების განკარგების შესახებ. აი, რამდენიმე მუხლი: 1, „ერთი საერთო სახალხო სკოლა ყველა წოდების ბავშვებისათვის“. ამით სკოლას ეკარგვის კონფესიონალური ხასიათი და ხდება ეროვნულ სკოლათ. მეორე მხრით სახალხო სკოლას ეკარგვის ღარიბთა სასწავლებლის სახელი, რადგანაც ყველა წოდება, მდიდარია თუ ღარიბი, ვალდებული ხდება თავისი შვილი სახალხო სკოლაში მისცეს, სადაც პირველი 4 წელი მაინც უნდა დარჩეს. შემდეგ შეუძლია სხვა სასწავლებელში გადავიდეს. ახლა კი აქ ღარიბი თავის შვილს სახალხო სკოლაში ზდის, მდიდარი კი გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებლებში, პანსიონებში და სხვ. ამით ბავშვებში თავიდანვე ინერგება ერთმანეთის სიძულვილი, როგორც სხვა-და-სხვა შეძლების და წოდების წარმომადგენელთა შორის. ეს მუხლი კი სავალდებულოთ ხდის 10 წლამდე ყველა ბავშვი ერთ და იმავე სკოლაში იზრდებოდეს. 2, „მოსწავლეთა რიცხვი სწავლების ერთ და იმავე დროს არ უნდა აღემატებოდეს 60. როგორც ზევით ვთქვით ერთი მასწავლებელია 90 ბავშზე, ხოლო ზედ-მეტზე კი ორი. მასწავლებლები თხოულობენ 90 მაგიერ 60 მოწაფეს. 3, „სკოლის ადგილობრივი ინსპექცია ჩამოერთვას ღვდელს და გადაეცეს საერო პირს“. 4, „მაზრის სკოლების ინსპექცია ჩაბარდეს ისეთს, რომელსაც სპეციალური პედაგოგიური განათლება მიუღია“. ამით აქაც ღვდელს ერთმევა მაზრის ინსპექტორობა. 5, „როგორც პროტესტანტთა, ისე კათოლიკეთა საეკლესიო კონსისტორიას სკოლების ხელმძღვანელობა ჩამოერთვას“. 6, „მასწავლებელთა ვრცელი და საფუძვლიანი განათლება“. ამისათვის საჭიროა სემინარიაში შესასვლელათ მოსამზადებელ დაწესებულებას ჩამოერთვას კერძო ხასიათი და შეირიცხოს სახელმწიფო დაწესებულებათ; სემინარიის კურსის გაფართოვება, უცხო ენების სავალდებულოთ გადაქცევა, უნივერსიტეტში შესვლის ნება და სხვ.

ამ თხოვნის გარჩევამ ერთი ალიაქოთი გამოიწვია ლანდტაგში. ყველა ამ მუხლების დამცველათ ვერც ერთი პარტია ვერ გამოვიდა, გარდა სოციალ-დემოკრატებისა. კლერიკალები კი მთელი თხოვნის წინაალმდეგ ამხედრდენ, ლიბერალებმა და დემოკრატებმა შუა ალაგი დაიჭირეს, ამათ არჩიეს ზოგი მუხლის მიღება და ზოგის უარ ყოფა. ამნაირათ პირველი ორი მუხლი ერთიანათ უარ-ყოფილ იქმნა. მესამის შესახებ ისევ ძველი კანონი დატოვეს, ხოლო ამას ეს მიუმატეს: „მრავალ კლასიანი სასწავლებლის ადგილობრივი ზედამხედველობა გადაეცეს ისეთ პირთ, რომელნიც რაიმე საეკლესიო თანამდებობას არ ასრულებენ ან და ისეთ სასულიერო პირს, რომელიც იმავე დროს ღვდელ-მოქმედებას არ ასრულებს“. ეს განაჩენი ნახევრათ აკმაყოფილებს მასწავლებელთა სურვილს. მეოთხე მუხლი მიღებულ იქმნა. მეხუთის შესახებ დაადგინეს: „პროტესტანტთა კონსისტორიას განშორდეს სახალხო სკოლების ხელმძღვანელობა და პირდაპირ განათლების და სარწმუნოების სამინისტროს დაექვემდებაროს, რისთვისაც ცალკე ვამგეობა უნდა შედგეს“. კათოლიკეთა სკოლა ისევ კათოლიკეთა კონსისტორიას დარჩა. მხოლოთ ვალდებულათ გახადეს კონსისტორიაში სპეციალისტ-პედაგოგის მოწვევა. მეექვსე მუხლიდან მიღებულ იქმნა მოსამზადებელ დაწესებულების სახელმწიფოთ გადაქცევა, ხოლო დანარჩენი უარყვეს. მაგრამ ყველა ამაების განხორციელება მთავრობის ნება-ყოფლობას მიანდვეს.

მასწავლებელთა ორგანო „სახალხო სკოლა“ უწინარეს ყოვლისა პედაგოგიური ორგანოა. აქ იბეჭდება ისეთი წერილები, რომლებიც ხალხის განათლებას ასე თუ ისე ეხება. აი, მაგ. ერთი, შემთხვევით აღებული, ნომრის შინაარსი (№ 4. 95.): ასტროლოგიური ცრუ-მორწმუნოება, ბავშთა გრძნობების განვითარება; გამარტივებული მართლ-წერა და ლათინური ასოები, მასწავლებელმა რას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მოწაფეებს ლამაზათ კითხვა შეასწავლოს?—„საკითხავი წიგნის“ სტატიის: „ფრანგ გერმანელთა ომი“ განმარტება.—ბიბლიოგრაფია; მასწავლებელთა ერთი ახალი გაზეთი; ახალი გამოცემული კანონი სწავლის გასაგრძელებელი და საკვირაო სკოლის შესახებ და სხვ. აქვე იბეჭდება გამგეობის სხდომების და გადაწყვეტილების ანგარიში, „საზოგადოების“ კასის მდგომარეობა და შესავალ-გასავლის აღრიცხვა და სხვ. ამნაირათ, როგორც ვხედავთ, სახალხო მასწავლებლის მომზადება, განვითარება და გაწრთვნა ერთი მხრით, მუდმივი მოქმედება, დაუღალავი შრომა და შეუჩერებელი მოძრაობა მეორე მხრით,—აი მისი ცხოვრების სავალი გზა. ის იბრძვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის, მაგრამ ამასთან შეერთებული აქვს ბრძოლა ქონებრივი მდგომარეობისათვის. ადამიანი დაჩაგრული, დაბეჩავებული ნივთიერათ, დაჩაგრული და დაბეჩავებულია გონებრივათაც. მასწავლებელმა რომ თავისი რთული მოვალეობა შეასრულოს, მატერიალურათ საკმარისათ უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს. აქაურ მასწავლებლის გონებრივი სახე ზე-

ვით წარმოვადგინეთ, ახლა გავშინჯოთ მისი ქონებრივი სახეც.

კანონით გადაწყვეტილი ჯამაგირია მასწავლებელ-კანდიდატისათვის 500—650 მარკა, ნამდვილ მასწავლებელს 900 მარკა. ამ რიცხვს ქვევით ჯამაგირი ვერ დაეშვება, ხოლო ზევით კი აიწევა. ამას გარდა მას ეძლევა: ბინა (ან და ბინის ქირა), რაც შეიცავს არა ნაკლებ სამი ოთახისა და სამზარეულოს, საბოსტნე ალაგი ან და წლის განმავლობაში საჭირო ბოსტნეულობის სასყიდელი, რაც 100 მარკას ასცილდება; შეშა ან და შეშის ფული, ხაზინიდან წლიური დახმარება, წოდებული - Alterszuloge, ეს დახმარება მატულობს იმდენათ, რამდენათაც მასწავლებელი ხანში შედის, ხოლო 500 მარკას (წლიურათ) არ ასცილდება. ამას გარდა სხვა-და-სხვა წვრილი საჭიროება, რის დასაკმაყოფილებლათ განსაკუთრებითი ფული ეძლევა. ამას ზედ ერთვის საკვირაო და სწავლის გასაგძელებელი სკოლის სასყიდელი და განყოფილებათა ცალ ცალკე სწავლება, რაც ზედ-მეტ გაკვეთილს შეადგენს. ზემოთ მოყვანილი ჯამი მასწავლებელს ეძლევა მხოლოთ კვირაში 30 საათს სწავლებისათვის, ხოლო თუ საზოგადოება ზედ-მეტ გაკვეთილს მოითხოვს, ზედ-მეტიც უნდა გადაიხადოს. აი, მაგ. დობელის ორ-კლასიან სასწავლებლის უფროსი მასწავლებლის წლიური შემოსავალი, როგორც მან თავის ხელით უბის წიგნში ჩამიწერა:

| | | |
|---|---|---|
| ჯამაგირი . . . . | 918 | მარკა |
| განყოფილებათა სწავლება . | 144 | ,, |
| ბოსტნეულობის სასყიდელი . | 129 | ,, |
| ხაზინის დახმარება . . . | 300 | ,, |
| შემთხვევითი 1) . . . | 40 | ,, |
| სხვა-და-სხვა . . . | 40 | ,, |

ბინა (ოთხი ოთახი) და შეშა. ამას მიემატება საკვირაო და სწავლის გასაგძელებელი სკოლის ფული, სულ 80 მარკას შეადგენს. ამაზე ცოტა ნაკლები შემოსავალი აქვს მეორე მასწავლებელს. ჯამაგირი ორივეს ერთი აქვთ, ხოლო ხაზინის დახმარება ნაკლები, რადგანაც ის უფრო ახალგაზდაა და აგრეთვე განყოფილებათა ცალკე სწავლებისაგან თავისუფალია.

საზღვარგარეთელი.

(შემდეგი იქნება)

1) ეს შეიცავს იმ სასყიდელს, რომელსაც მასწავლებელი ჯვარისწერის ან ნათვლის დროს ეკლესიაში ფორტეპიანოს დაკვრისთვის იღებს.

# მეყვარები.

ვუძღვნი ჩემ დას ელენეს.

მეყვარები თუ ცხოვრებას
შეხარი და შეტრფიალებ,
გზაცა მარჯვე მიგიგნია,
და მიზანსა აღიარებ!
მიისწრაფი იმ მიზნისკენ
შეუშოვრათ, დაჟინებით,
ვერ აგაცდენს ვერვინ გზიდან
ვერც მუქარით, ვერცა ქებით.
მეყვარები თუ ქვეყანა
გესატება ტურფა ბაღათ,
და სამშობლო ბაღის კუთხეთ,
თავი—მცველათ, მის მუშაკათ,
კეთილი გსურს, ბოროტს დევნი,
დაჩაგრულსა, ღარიბს, ულდურს
შემწეობის ხელს გაუწვდი,
სიტყვას ეტყვი ტკბილსა და მშურს.
მეყვარები თუ ნეტარებ
შენის საქმით და ხარ მცდელი,
არც სახელის მოხვეჭა გსურს,
არც დიდების გვირგვინს ელი!
კაცს ბუნება ამოქმედებს,
უქმათ ჯდომა ემაგება,
სახელისთვის გინც მუშაობს
იგი კაცი არ იქნება.
ვინც სუსტია, ლაჩარია,
უიმედოთ იარება,
შავათ უჩანს ეს სოფელი
არა რა რწამს, ეწვალება,
ჯან-ტეხილი, გულით უნდო
საქმეს უფრთხის, ეპარება,
იმას გულით შევიბრალებ
მაგრამ კი არ მეყვარება.

კატო ერისთავი.

## მიწათ-მოქმედების სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები

გასულ ნოემბრის თვეში პეტერბურგში სამიწათ-მოქმედო სამინისტროს მიწვევით გაიხსნა კრება, სამეურნეო რჩევის მეორე სესია. პირველი ამ გვარი კრება მოხდა 1895 წლის დასაწყისში, ცოტა ხანს შემდეგ ახალი სამიწათ მოქმედო სამინისტროს დაარსებისა. სამეურნეო რჩევის (Сельско-хозяйственный совѣтъ) უმთავრეს მიზანს შეადგენს სხვა და-სხვა საშუალებათა გამოძებნა, რომ დღევანდელი დაცემული რუსეთის მეურნეობა გაუმჯობესობის გზას დაადგეს და ბოლო მოეღოს იმ გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებიან რუსეთის მეურნენი. ამისათვის სამეურნეო რჩევამ, რომელიც სამიწათ-მოქმედო სამინისტროსთან არსებობს და ამ უკანასკნელსვე ექვემდებარება, შეიმუშავა პროგრამა. ეს პროგრამა ჯერ-ჯერობით მხოლოთ ქაღალდზეა, და მის სისრულეში მოყვანამდის ჯერ კიდევ დიდი დრო გაივლის. სამეურნეო რჩევის მეორე სესია, რომელსაც გასული თვის განმავლობაში ჰქონდა თავის სხდომები, შეუდგა ამ პროგრამის განხილვას. აი, უმთავრესი მუხლები ამ პროგრამისა: 1) დაარსება როგორც მაღალ, ისე საშუალო და დაბალ სამეურნეო სასწავლებელთა რუსეთის სახელმწიფოს ყველა ადგილებში ადგილობრივ პირობების მიხედვით; 2) სამეურნეო კრედიტის დაარსება; 3) ტყის მოვლა-გაშენების შესახებ ძველი და ჩავარდი წესის გაუქმება და ახლის შემუშავება; 4) სხვა-და-სხვა შეღავათის აღმოჩენა სოფლის მეურნეთათვის, საზღვარ-გარეთის სამეურნეო მანქანებზე ბაჟის შემცირებით თუ სხვა რამით, და სხვ. სხვათა შორის, ხსენებული პროგრამა დიდ მნიშვნელობას აძლევს მეურნეობის გაუმჯობესობის საქმეში მიწათ-მოქმედების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოთ.

ეს საგანი გაირჩა სამეურნეო რჩევის მეშვიდე სხდომაზე. გარჩეულ იქნა ორი წინადადება; ერთი იმათგანი ეკუთვნოდა სოფლის მეურნეობის წარმომადგენელთა კერძო რჩევას და მდგომარეობდა იმაში, რომ ცენტრალური სამეურნეო გამგეობის დასაკავშირებლათ ადგილობრივ სამეურნეო ცხოვრებასთან შედგეს ანუ დაწესდეს ადგილობრივ პირებისაგან კოლეგია, რომელიც განსაკუთრებით თვალყურს უნდა ადევნებდეს ადგილობრივ მეურნეობას და იყოს მისი შუამდგომელი ყოველსავე საქმეში უმაღლეს გამგეობასთან. მეორე წინადადება, რომელიც მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან იყო წარმოდგენილი, მდგომარეობდა შემდეგში: უნდა გაიხსნას კოლეგიალური სამეურნეო—ეკონომიური დაწესებულებანი ყველა მაზრის და გუბერნიის ერობაში (земство). კრების თავმჯდომარემ, აღნიშნა-რა კოლეგიალური დაწესებულების სარგებლობა, შემდეგი კითხვა დააყენა: საჭიროა თუ არა სავალდებულოთ გაეხადოთ ამგვარი კოლეგიალური დაწესებულების შემოღება ერობის გამგეობის გარეშეო? ამ კითხვამ ბევრი სჯა და კამათი გამოიწვია. ზოგი ამტკიცებდა, რომ სასარგებლო იქნება სავალდებულოთ გაეხადოთ ერობის გამგეობასთან კოლეგიალური დაწესებულების დაარსება; უმეტესობა კი პირ-იქით იმას ამბობდა, რომ ამ გვარი დაწესებულების სავალდებულოთ შემოღება შეუსაბამო იქნება, ჯერ ერთი მით, რომ ყველა ადგილას არ მოიპოვებიან ამ საქმისთვის მცოდნე პირები; უამისოთ კი მხოლოთ ახალ მოხელეთ გაეჩენთ და საქმე კი არა გაკეთდება-რა. სადაც კი ამნაირი პირები მოიპოვებიან, იქ ისეთაც შეიძლება კოლეგიის დაწესება, თუნდაც რომ ეს სავალდებულო არ იყოსო, და ამას გარდა ისიც დასძინეს, რომ სავალდებულო კოლეგიალური დაწესებულების შემოღებით ერობის გამგეობასთან ერთათ, შეიხუთება ერობის თვით-მართველობითი ხასიათი. ამ საგნის შესახებ ხმის შეკრებამ აი რა აღმოაჩინა: 18 პირმა უარ-ჰყო განსაკუთრებითი სამეურნეო კოლეგიის სავალდებულოთ დაწესება და მხოლოთ 11 მიიღო ეს წინადადება. ამ უთანხმოების მოსასპობლათ შემდეგ იმ აზრს დაადგენ, რომ ადგილობრივი სამეურნეო კოლეგიის სავალდებულოთ დაწესება საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოთ, რომ ეს კანონით განისაზღვროს, თუ ვინიცობაა ერობანი საჭიროთ იცნობენ ამგვარ ორგანოთა დაარსებასო.

## უცხოეთის ამბები.

გაზეთების სიტყვით, უფროსი ძმა სულთან აბდულ-ჰამიდისა, მურადი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში დატყვევებული იყო, გაქცეულა ინგლისის გემით.

—გაზ. „Berl. Tageb“-ი ამბობს, რომ ოსმალეთის მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა; სამინისტროს შეცვლის შესახებ ხმები ტყუილი გამოდგენ. ვისაც ოსმალეთის ახალგაზდობის პარტიაში მონაწილეობის მიღებას სწამებენ, მაშინვე იჭერენ და ილდიზ-კიოსკში აწამებენ. ამასთანავე სტამბოლიდან იწერებიან: გემი „ჯანიკი“, რომელსაც ალექსანდრეტში პოლიტიკური დამნაშავე-

ნი მიჰყავდა, დაილუპაო". გემში 200 სოფტი ყოფილიყო. ოსმალეთის შინაგან პოლიტიკაში ამნაირი ამბები ახალი არ არის.

— ლონდონის გაზეთ „Daily News"-ს სტამბოლიდან ატყობინებენ: „ყველა ინგლისური გაზეთები 30 ნოემბრიდან აკრძალეს; წინეთ ინგლისის ქვეშევრდომთ თავისუფლათ მისდიოდათ ინგლისური ჟურნალ-გაზეთები და ამის შესახებ განსაკუთრებით არავითარი განკარგულება არ იყო.

—ყველა მინისტრებს და უფროსებს სულთანმა გაუგზავნა თავის ირადე, რომელშიაც ნათქვამია, რომ ევროპის სახელმწიფოებს სურთ ოსმალეთს ისე მოექცენ, როგორც ეგვიპტის პროვინციას ექცევიან. ამიტომ სულთანი უბრძანებს თავის მაღალ-ხარისხოვან მოხელეთ, რომ ძლიერ სიფრთხილით მოეპყრან ხარჯს და სისწორით იხელმძღვანელონ ამას წინეთ გამოცემული ბრძანებით ხარჯთა აღრიცხვის შემცირების შესახებ.

—„Daily Chronicle"-ს დიარბექირიდან ატყობინებენ, რომ ამ ჟამათ იქ იმყოფება 5000 სომეხი, რომელთაც შიმშილით სიკვდილი მოელით. ამნაირი ცნობები სხვა ადგილებიდანაც მოდის. გაჭირვებულ სომხების მდგომარეობის შესახებ გაზ. „Daily News"-ს სტამბოლიდან წერენ: „19 ნოემბერს ინგლისის ელჩის სადგომში მოხდა სომხებისათვის შემწეობის აღმოსაჩენათ დაარსებული ცენტრალური კომიტეტის კრება, რომელზედაც ბაასი ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იხმარონ, რომ სომხებს უბედურ მდგომარეობაში მიეშველონ. სხვათა შორის აღმოჩნდა, რომ მარტო ობლების რიცხვი 40,000 აღის. გერმანიის, ჰოლანდიის და შვეიცარიის საქველმოქმედო საზოგადოებათ სურვილი განაცხადეს თავის ხარჯით გამოზარდონ განსაზღვრული რიცხვი ამ ობლებისა.

—კუნძულ კუბიდან შემდეგი ცნობა მიუღია გაზ. „Jmparcial"-ს: აჯანყებულების ცნობილი სარდალი ანტონიო მაცეო მოუკლავთ ისპანიელებთან უკანასკნელ შეტაკების დროს. აი, რას ამბობენ ამის შესახებ სხვა გაზეთები: 25 ნოემბერს ისპანიელი ჯარის ერთი რაზმი მოულოდნელათ წაატყდა აჯანყებულების ჯგუფს. ატყდა უსასტიკესი ბრძოლა, რომელიც მხოლოთ სიბნელემ შეწყვიტა. ისპანელებმა დაიხიეს უკან. როცა ბრძოლის ველი დაათვალიერეს, იქ აღმოჩნდა აჯანყებულების მხრივ 40 მკვდარი. იმათ შორის იყო—ერთი მულატი და მეორე თეთრი. ეს მკვდრები ღირსეული პირები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც იმათ აჯანყებულები არ ანებებდენ წასაღებათ. თეთრი კაცის გულზე პატარა ქაღალდი იპოვეს წარწერით: „მე ვკვდები, რადგანაც არ მინდა დავტოვო აქ ღერენალ მაცეოს სხეულიო". მეორე მკვდარი თვით ცნობილი მაცეო გამოდგა.

—როგორც ამბობენ გაზეთები, ხოზე არმას კარდენასის აზრი კუნძულ კუბის ყიდვის შესახებ ისპანიისაგან მართლდება. ნიუიორკის გაზ. „World"-ი გვარწმუნებს: პრეზიდენტი კლიველენდი ცდილობს, რომ კუბა შეერთებულმა შტატებმა იყიდონ. მისი აზრით, ინგლისმა ამ საქმისათვის ფული უნდა იშოვოს, ამერიკა კი თავდებათ დაუდგება.

## სიკვდილით დასასჯელი.

(გიუ იდე—მოპასანისა)

მთელ ქვეყნიერობაზე არა მგონია, თუ რომელიმე გვირგვინოსან მთავართაგანი ისე მშვიდათ ატარებდეს თავის სიცოცხლეს, როგორც მონაკოს მთავარი; მას არ ეშინია არც გარეგანი მტრისა, არც შინაგანი არეულობისა. იმისი მონაწილეობა სამთავროს მართველობაში იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ცერემონიით მიიღოს მთხოვნელები,—ოთხჯერ თავი დაუკრან და ოცდა ოთხ ნაირათ ხელზე ემთხვიონ.

მონაკოს მთავარს არც სასტიკათ დასჯა უყვარს ვისიმე; თუ რომელიმე შემთხვევით მსაჯულნი იძულებულნი არიან გადაუწყვიტონ ვისმეს სამშობლოდან გაძევება (ზოგჯერ ესეც მოხდება ხოლმე), მაშინაც თავადი დამნაშავეს დიდ შეღავათს აძლევს.

აი, მაგალითებიც: ვიღაც თავდაუჭერელი ბანქოს მოთამაშე ერთხელ ისეთ გუნებაზე დადგა, რომ მთავარი დაურიდებლათ ცუდათ მოიხსენია, შემწყნარებელ მსაჯულებმა დამნაშავეს ახლა კი მონაკოს ყველა კანონების ძალით თავზარი დასცეს და მოთამაშეს სამშობლოდან გაძევება გადაუწყვიტეს.

დამნაშავე მსაჯულების განჩინებას დაემორჩილა, საზღვარ გარეთ გავიდა და მთელი თვე დაკარგულ სამოთხეს გარს უვლიდა; ბოლოს მოთმინებიდან გამოსული შემოვიდა საზღვარში, ნახევარ საათს უკან გაჩნდა მონაკოში და შევიდა საყომარბაზოში. მოთამაშე უცბათ მოხელემ შეაყენა.

— მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენ ხომ აქ ყოფნა აკრძალული გაქვთ!?

— ჰო,... მე... მაგრამ მე ხომ ეს არის ახლავ მახლობელის მატარებლით ვაპირობ წასვლასა!

— ჰო, მაშ კარგი, თუ წახვალთ.

მოთამაშე წავიდა, მაგრამ კვირაში ერთხელ ყო-

ველთვის ისევ უკან ბრუნდებოდა; მოხელე ყოველთვის ერთ და იგივეს ეკითხებოდა და პასუხიც ერთი და იგივე იყო.

განა სხვა ქვეყანაში სადმე მართლ-მსაჯულები დამნაშავეთ ასე შეღავათით ეპყრობიან?

—

ერთხელ მონაკოში ისეთი საზარელი შემთხვევა მოხდა, რომ ყველა თავადები და დიდიდან პატარამდე მცხოვრებლები აღელვა.

ამ ქვეყნის ერთმა ქვეშევრდომმა ეჭვით თავისი ცოლი მოჰკლა. მკვლელის გასამართლებლათ არაფერი საბუთი არ იყო, რომ სასჯელი შეღავათით გარდაეწყვიტათ.

ამ იშვიათ გარემოების გამო (ამ სახელმწიფოში კაცის მოკვლა პირველი გაგონება იყო) შეიკრიბა სამსჯავრო, რომ დამნაშავეს განჩინება წაუკითხონ. მკვლელს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს.

აღელვებულმა თავადმა ეს განჩინება დაამტკიცა. მხოლოთ შესრულება-ღა უკლდა; მაგრამ შესრულება მოულოდნელმა გარემოებამ დააბრკოლა; საქმე იმაში იყო, როგორ მოეყვანათ თავიანთი გარდაწყვეტილება სისრულეში: მთელ სამთავროში არ მოიპოვებოდა არც ,,პალაჩი‘‘ და არც „გილიოტინა“.

რა ჰქნან, როგორ მოიქცენ?

გარეშე საქმეთა მინისტრის რჩევით თავადი საფრანგეთის მთავრობასთან შეუდგა მოლაპარაკებას იმაზე, რომ ამ საქმის შემსრულებელი სპეციალისტი თავისის მანქანით გამოეგზავნათ.

ამაზე პარიჟში დიდ ხანს ჰქონდათ რჩევა. ბოლოს გადაწყვიტეს თავადს სურვილი შეუსრულონ, მხოლოთ ჯერ პალაჩის მგზავრობისა და გილიოტინას დაშლა, გადატან-გადმოტანის ხარჯი შეუთვალეს. ყველა ამას უნდებოდა დიდი ფული, რომელიც აღემატებოდა 16,000 ფრანკს.

— 16,000 ფრანკი ერთი მკვლელის თავში მიეცე!? ოჰ, არა! თავის დღეშიაც არა! გარდაწყვიტა თავადმა.

მიმართეს იტალიის მთავრობას იმ იმედით რომ იტალიის მეფე, როგორც თანამემამულე თავადისა, უფრო იაფათ დაჯერდება, ვიდრე საფრანგეთის რესპუბლიკა.

იტალიის მთავრობამ 12,000 ფრანკის ანგარიში გამოუგზავნა მთავარს; 4 ათასით ნაკლები საფრანგეთის ანგარიშზე; მაგრამ მაინც ერთი დამნაშავისათვის 12,000 ფრანკი ძალიან დიდი ხარჯია.

ამ მოულოდნელი ხარჯის დასაფარავათ სულზე 2 ფრანკი ახალი ხარჯი უნდა მომატებოდა მონაკოს სამთავროში მცხოვრებელთ და ეს გარემოება უკმაყოფილებას დაჰბადავდა.

იფიქრეს, იქნება ერთი რომელიმე მონაკოელი სალდათი დათანხმებულიყო რომ დამნაშავესათვის თავი თუნდ ცულით მოეჭრა. როდესაც ჯართ უხუცესს დაეკითხენ, უკანასკნელმა ეჭვითა თქვა, არა მგონია თუ რომელიმე სალდათმა მოახერხოს ეგ საქმეო, რადგანაც ჯარს არა ჰქონია ისეთი შემთხვევა რომ იარაღის ხმარებაში ევარჯიშნოსო.

მაშინ თავადმა ხელ-ახლათ შეჰკრიბა სამსჯავრო და დაეკითხა: — როგორ მოიქცენ, თუ ხსენებული განჩინების შესრულება კიდევ მოულოდნელმა შემთხვევამ დააბრკოლა.

მსაჯულებმა დიდ ხანს ითათბირეს და საბოლოოთ ვერა გარდაწყვიტეს რა. ბოლოს თავმჯდომარემ წინადადება მისცა — სიკვდილით დასჯა სამუდამო დამწყვდევით შეცვლილიყო. ეს წინადადება ყველამ ერთ ხმათ მიიღო.

მაგრამ არც ამითი გაიჩარხა საქმე: მთლათ სამთავროში ერთი სატუსაღოც არ მოიპოვებოდა. ჯერ უნდა სატუსაღო აეშენებინათ და მერე ტუსაღისთვის დარაჯიც დაეყენებინათ.

ააშენეს სატუსაღო, დარაჯიც დააყენეს; ნახევარ წელმა ჩვეულებრივ გაიარა; ტუსაღი ეგდო ტახტზე და გოროაობდა: დარაჯი იჯდა სატუსაღოს კარებთან და გამვლელ-გამომვლელს ადევნებდა თვალს.

მონაკოს თავადს უყვარდა ეკონომია და ყოველთვის შესავალ-გასავლის ანგარიშებს ათვალიერებდა. ერთხელ სატუსაღოს აშენების, დარაჯის ჯამაგირის და ტუსაღის შესანახავი ხარჯის ჯამი წარუდგინეს. ეს ხარჯები, განსაკუთრებით დარაჯის ჯამაგირი მონაკოს სამთავროსათვის დიდი ტვირთი იყო.

უკანასკნელი გარემოება თავადს, რასაკვირველია, არ მოეწონა. მხედველობაში მიიღო რომ, შეიძლება ეს დიდი ხანი გაგრძელდეს, რადგანაც პატიმარი ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო. ამიტომ ფინანსის მინისტრს მისცა წინადადება ეს ხარჯი შეემოკლებინა.

მინისტრიც სამსჯავროს თავმჯდომარეს მოელაპარაკა და გადაწყვიტეს დარაჯი დაითხოვონ, იმის იმედით რომ თავის ანაბარას დატოვებული ტყვე ამითი ისარგებლებს და გაიპარება, მაშინ ეს უბრალო შემთხვევა სუყველას გაჭირვებიდან გამოიყვანსო.

დარაჯი გადაყენებულ იქმნა; ერთ პატარა ბიჭს უბრძანეს თავადის სამზარეულოდან პატიმარისათვის ყოველ დღე ეზიდნა სადილ-ვახშამი.

გაიარა რამდენიმე ხანმა; ტუსაღს გაპარვა ფიქრათაც არ მოსდიოდა. ერთხელ პატიმარი დაიწყე-

ბას მისცეს და ჩვეულებრივ სადილი არ გაუგზავნეს. მაშინ თვითონ მოვიდა სამზარეულოში სადილის მოსაკითხავათ. შემდეგ ვითომ-და ტყუილ-უბრალოთ არ დაებანდო ბიჭიო, სამზარეულოში ყოველ დღე თითონ იწყო სიარული სადილ-ვახშმის საჭმელათ; ჯდებოდა თავადის მსახურებთან და მოახლეებთან და პატარა ხანს უკან სუყველას დაუმეგობრდა.

სადილს უკან დასეირნობდა და ხშირათ ბოლოთის ცემით მონტე-კარლოს (ქალალდის სათამაშო სახლი) უახლოვდებოდა. ზოგჯერ საყომარბაზოში შედიოდა და ხუთიოდე ფრანკით ბედსა ცდიდა. თუ რომ მოიგებდა, პირველ ხარისხოვან რესტორანში შევიდოდა ვახშმის საჭმელათ და შემდეგ გულიანის ვახშმისა დასაძინებლათ სატუსალოში დაბრუნდებოდა. უეჭველათ კი სატუსალოში ეძინა; თავის მოვალეობას არა ღალატობდა.

უხერხული იყო ამნაირი მდგომარეობა—ტყვესთვის კი არა,—რასაკვირველია მონაკოს სამთავროსათვის.

თავადმა ხელ-ახლათ იხმო სამსჯავრო, რომელმაც ხანგრძლივის ბაასის შემდეგ დაადგინა, დამნაშავეს ებრძანოს საზღვარ გარეთ გასვლა.

როდესაც ტყვეს ეს განაჩენი გამოუცხადეს, გულ-გრილათ უპასუხა:

— ერიჰა! ძალიან მოსაწონია!? ახლა რაღა ვუყო?! აღარც საცხოვრებელი ღონისძიება მაქვს და აღარც სამშობლო, როგორ მოვიქცე? სიკვდილით დასჯა გარდამიწყვიტეთ და კი არ შეასრულეთ —მე ხომ ჩუმათ ვიყავ და წინააღმდეგობა არ გამიწევია? შემდეგ პირველი განაჩენი შეცვალეთ, გადაჰიწყვიტეთ სამუდამო ტყვეობა და მომიჩინეთ დარაჯი— არც ამაზე მითქვამს რამე. მას უკან ამხსენით დარაჯი, დამტოვეთ ღვთის ანაბარა —აქაც მოვითმინე. ახლა თქვენ გინდათ სამშობლოდან გამაძევოთ,— ამაზე კი, არ დავთანხმდები! თქვენგან გარდაწყვეტილი მაქვს სამუდამო ტყვეობა; დაპატიმრებულიცა ვარ და აქედან ერთ ნაბიჯსაც არსაითკენ არ გადავდგამ!

მსაჯულებმა ხმა-გაკმინდეს. თავადი ძალიან განრისხდა და ბძანა კადნიერის პატიმარის წინააღმდეგ რამე საშუალება მიეღოთ. დაიწყეს მსჯელობა.

ბოლოს გარდაწყვიტეს დამნაშავეს დაენიშნოს წლიური პენსია 600 ფრანკი, იმ პირობით რომ მონაკოს სამთავროს გარეთ გავ ლეს ლა სხვაგან იცხოვროს.

პირობები ძალიან სასარგებლონი იყვენ და ამიტომ პატიმარმა, სასიხარულოთ თავადისა და სამჯავროს წევრებისა, რომლებმაც ასეთი საუცხოვო საშუალება მოიგონეს, მიიღო წინადადება, დათანხმდა ახალ გარდაწყვეტილებაზე, თუ ერთის წლი პენსიას წინდაწინ მისცემდენ.

საზღვარ გარეთ, სულ თხუთმეტის წამის სიარულის მანძილზე, იჯარით აიღო სახლი, სადაც ახლა ბედნიერათ ცხოვრებს და ბოსტნეულობა მოჰყავს.

მას უკან, ამ მწარის გარემოებით გამოცდილი თავადი, კარგის ფასით შეეკრა საფრანგეთს, სადაც თავის დამნაშავეებს დასასჯელათ გზავნის.

მამა-პიროსელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ სიმართლის აღსადგენათ, ამ ჩვენ წერილს ადგილი დაუთმოთ გაზ. „კვალის“ უმახლობელეს №-ში.

„კვალ ს“ ამ წლის 48 №-ში, დასტამბულია კორესპონდენცია ბ. სოლომონ იოსავასი დ. ხობში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. „ამას წინეთ ერთმა ადგილობრივმა ინტელიგენტმა აღძრა კითხვა ხობში სამკითხველოს დაარსების შესახებ, მაგრამ საუბედუროთ ამ ფრიად საჭირო საქმეს, ჯერ-ჯერობით ვერ ეღირსა განხორციელება. ამ საქმის მოთავე, მასწავლებელი დ. ხობის ორ კლასიანი ნორმალური სკოლისა, ბ. სიმონ ორჯონიკიძე, დანნხუთში გადაიყვანეს და დანარჩენი ხობის ინტელიგენტები აისე ღრმა ძილს მიეცენ. კარგი იქნება, რომ ბ.ბ. გ. მიუბენკო, გ. მოწენიძე, ნ. სასანია, ლ. ხუხია, მ. იოსავა და მამა კალისტრატე, რომელთაც შეგროვილი აქვთ ხობის საზოგადო საჭიროებისათვის ხუთი ათასი მანეთი იმ ფულიდან ცოტაოდენს მაინც მოახმარებდენ ბიბლიოთეკის საქმესო“.

მეტათ სასიამოვნო იქნებოდა, რომ თითოეულს სოფელს ჩვენ საქართველოში შეეძლოს ხუთი ათასი მანეთის ან კიდევ ნაკლების შეგროვება საზოგადო საჭიროებისათვის, მაგრამ ჩვენ ჯერ ხუთი კაპეიკიც არ შეგვიგროვებია.

მართალია, ბიბლიოთეკის საჭიროებას ვგრძნობთ, მაგრამ უკიდურესი შევიწროების გამო ჯერ-ჯერობით ნება-რთვაც არ გვითხოვია დ. ხობში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისათვის. უფულოთ რომ მოხერხდებოდეს კარგი იქნებოდა, მაგრამ... ბ. სოლომონ იოსავას უნდა დავეკითხოთ: 1) საიდან გამოიგონეთ, ვითომც ჩვენ გვქონდეს ხუთი ათასი მანეთი ხობის საზოგადო საჭიროებისათვის? 2) რა კავშირი, ანუ რა ხელი გვაქვს საზოგადო საჭირო ფულებთან, როდესაც არავის

მოუნდგია და საზოგადოებას თვითონ ჰყავს ფულების შემგროვებელი და გამომრთმევიც? და 3) სახელდობრ ჩვენგანმა ვინ რამდენი მანეთი შეაგროვა დ. ხობში საზოგადო საჭიროებისათვის? თუ ამებს საბუთიანათ ვერ აგვიხსნით, სამართალში გამოგითხოვთ, ბეჭდვითი ცილის წამებისათვის და მაშინ უფრო შეიგნებთ, თუ რა გავლენაც აქვს დასტამბულ სიტყვას ჩვენზე. დგ. კალისტრატე, ვლადიმერ მოწყნიძე, ლევან ხუხია, მიხ. იოსავა ნ. სასანია, გალერიან მიუბენკო.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

# განცხადება

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 11 დეკემბერს 1896 წ.

ათის წლის სცენაზე მოღვაწეობის საიუბილეოთ ბენეფისი ელ. ჩერქეზიშვილისა.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ საფაროვი-აბაშიძისა და აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

## დაქცეული ოჯახი

კომედ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა

II

## დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ: ბ.ბ. კ. მესხი, კ. ყიფიანი, გრ. აბაშიძე, პ. არაქსიანი, ადამიძე. დასასრულ ლეკური.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, ივანიძისა. ბბ. აბაშიძე, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე.

ანტრაქტებში დაუკრავს აბდულ ბალი და სამხედრო მუსიკა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორი. ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი გ. შათირიშვილი.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1897 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამშაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში — არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ვარლაამ ჭილაძის, გ. ბეჟანიშვილის, ხეთერლის წიგნის მაღაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში.—განჯაში: ალ. მიქაბერიძეს.—ფოთში: მიხეილ თურქიას და ი. კოხრეიძეს.—მიხაილოვაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას.—თიანეთში: ივ. ჩიბალაიშვილს.—გორში: არსენ კალანდაძეს.—ყვირილაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მაღაზიაში.—სახხერეში: ყარ. ჩხეიძეს.

Доз. ценз Тифлисъ, 7 Декабря 1896 г. Тип. М. Д. Ротиніанца — სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41